კულტურის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი

2019-2021

სარჩევი

1. კულტურული მემკვიდრეობა, როგორც ქალაქის თვითმყოფადობის შენარჩუნების აუცილებელი პირობა ----------3

1.1. მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ---------- 4

1.2. ეროვნული ფოლკლორის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება ---------- 8

2. შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება ---------- 12

2.1. ლიტერატურული ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა ---------- 13

2.2. სამუსიკო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა ----------19

2.3. აუდიოვიზუალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა ---------- 26

2.4. თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა ---------- 33

2.5. სახვითი ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა ---------- 39

2.6. შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობა ---------- 46

3. კულტურის მუნიციპალური ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარება ---------- 50

3.1. მუნიციპალური ბიბლიოთეკის განვითარება ---------- 51

3.2. ბათუმის კულტურის ცენტრის განვითარება ---------- 57

4. კულტურაზე წვდომა და კულტურული მრავალფეროვნება ---------- 63

4.1. კულტურაზე ხელმისაწვდომობა ---------- 64

სტრატეგიული მიმართულება 1

კულტურული მემკვიდრეობა, როგორც ქალაქის თვითმყოფადობის შენარჩუნების აუცილებელი პირობა

1.1. მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;

1.2. ეროვნული ფოლკლორის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება.

1.1. მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელების გზით ბათუმის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა, ქალაქის ისტორიული იერსახის შენარჩუნება და პოპულარიზაცია, საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა.

პროგრამის და მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად მინიმუმამდე შემცირდება ფიზიკური განადგურების საფრთხის ქვეშ მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობა; მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენაჩუნების მიზნით ხელი შეეწყობა საგანმანათლებლო-სამეცნიერო-საქმიანობას.

პროგრამის აღწერა

კულტურული მემკვიდრეობა განიხილება, როგორც ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ამოუწურავი რესურსი. იგი თვითმყოფადი ეროვნული კულტურის უწყვეტობის წინაპირობა და კაცობრიობის საერთო საგანძურის განუყოფელი ნაწილია. კულტურული მემკვიდრეობა ის სიმდიდრეა, რომელიც წინაპრებისგან გვერგო და რომლის მესაკუთრენიც ყველანი ვართ. ეს არის ადამიანის არსებობის, მისი სამყაროსადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების გამოხატულება, ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული გარემო, რომელიც ქვეყნის სახეს განსაზღვრავს.

მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა განსაკუთერებულად მნიშვენლოვანია პატარა ქალაქებისთვის. ბათუმისათვის, როგორც ტურისტული ქალაქისათვის კულტურულ სანახაობათა, ტრადიციული არქიტექტურისა და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ბათუმის ძირითადი ღირსშესანიშნავი ადგილები, რომლებიც ტურისტების ინტერესის სფეროს წარმოადგენენ სწორედ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებია. ბათუმს ტურისტული და მატერიალური კულტურის პოტენციალი აძლევს იმის შესაძლებლობებს, რომ ტურიზმის ბაზარზე ადგილი დაიკავოს, შექმნას ტურისტულ ბიზნესში ინვესტიციების განხორციელების და კონკურენციისთვის ხელსაყრელი გარემო პირობები, დამატებითი სამუშაო ადგილები და შემოსავალი, ხელი შეუწყოს ადგილობრივი შესაძლებლობების წარმოჩენას, რაც საბოლოო ჯამში ქალაქის განვითარებასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს.

სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსგან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბათუმში 277 მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, მათგან 269 - ურბანული და 8 - საკულტო. ძეგლების უმეტესობა ავარიულ მდგომარეობაშია და ესაჭიროება რეაბილიტაცია. სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ ორ მატერიალურ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს ჩაუტარდა და ერთ ძეგლზე მიმდინარეობს სარებილიტაციო სამუშაოები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებაა ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლთა მოვლა-შენახვა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია. აღნიშნული უფლებამოსილების აღსრულების მიზნით, 2017 წელს, სსიპ აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსა და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის ფარგლებში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მზადყოფნას გამოხატავს დააფინანსოს და რეაბილიტაცია ჩაუტაროს სააგენტოსთან ერთად შერჩეულ, ქ. ბათუმში არსებულ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს. შესაბამისად, დასაწყისისთვის, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული იქნა ერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაცია.
იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქში ავარიულ მდგომარეობაში/განადგურების საფრთხის ქვეშ მყოფი კიდევ არაერთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, პროგრამა ითვალისწინებს სსიპ აჭარის

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან მჭიდრო კოორდინაციით, სარეაბილიტაციო ძეგლების შერჩევას და სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების განხორციელებას. ასევე, პროგრამის ფარგლებში, მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით, განხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და გამოიცემა კატალოგები, რომლებშიც ასახული იქნება ბათუმის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან კოორდინირებულად, სარეაბილიტაციო ძეგლისა და შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოების განსაზღვრა;
- ✓ სარეაბილიტაციო - სარესტავრაციო სამუშაოების შესყიდვა და განხორციელება;
- ✓ სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა;
- ✓ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კატალოგების გამოცემის ხელშეწყობა;
- ✓ მატერიალური კულტურული მემკვიდეობის დაცვისა და შენარჩუნების მიზით საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროექტების მხარდაჭერა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან კოორდინირებულად, სარეაბილიტაციო ძეგლისა და შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოების განსაზღვრა	სარეაბილიტაციო სამუშაოების შეფასება აქტუალობისა და საჭიროების მიხედვით	4	5	20	ექსპერტიზის დასკვნებზე დაყრდნობა	3	4	12
2.	სარეაბილიტაციო - სარესტავრაციო სამუშაოების შესყიდვა და განხორციელება	რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის დროს ძეგლების დაზიანების ალბათობა	4	5	20	სარეაბილიტაციო სამუშაოების მონიტორინგის განხორციელება	3	5	15
3.	სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა	სუსტი ტექნიკური ზედამხედველობა	3	5	15	სარეაბილიტაციო სამუშაოების მონიტორინგის გაძლიერება	2	4	8
4.	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კატალოგების გამოცემის	მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით ან დაბალი ხარისით	3	4	12	ვალდბულების შესრულებაზე მონიტორინგის წარმოება	2	3	6

	ხელშეწყობა	შესრულება							
5.	მატერიალური კულტურული მემკვიდეობის დაცვისა და შენარჩუნების მიზით საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროეტების მხარდაჭერა	პროექტების სიმცირე	3	4	12	მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ორგანიზებით გაიმართება საინფორმაციო შეხვედრები მიზნობრივ ჯგუფებთან	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული და კულტურული ძეგლები;
- ❖ უმაღლესი სასწავლებლები, სტუდენტები და ლექტორ-მასწავლებლები;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ მსხვილი საპროექტო-სამშენებლო კომპანიები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;
- ❖ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციები;
- ❖ უმაღლესი სასწავლებლები, სტუდენტები და ლექტორ-მასწავლებლები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური;
ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019 - 2021	კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან კოორდინირებულად, სარეაბილიტაციო ძეგლისა და შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოების განსაზღვრა					x	x						
2019 - 2021	სარეაბილიტაციო - სარესტავრაციო სამუშაოების შესყიდვა და განხორციელება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019 - 2021	სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა			x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020 - 2021	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კატალოგების გამოცემის ხელშეწყობა		x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020 - 2021	მატერიალური კულტურული მემკვიდეობის დაცვისა და შენარჩუნების მიზით		x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

	საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროეტების მხარდაჭერა												

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რაოდენობა;
- გამოცემული კატალოგების რაოდენობა;
- დაფინანსებული კონფერენციების და კვლევების რაოდენობა;
- დაფინანსებულ კონფერენციებსა და კვლევებში მონაწილეთა რაოდენობა.

1.2. ეროვნული ფოლკლორის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება, მისი სიცოცხლისუნარიანობის გაზრდისთვის საჭირო ქმედებების განხორციელება, ეროვნული ფოლკლორის პოპულარიზაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად შენარჩუნებულია ქართული ფოლკლორი, ქორეოგრაფიული ხელოვნება, ეროვნული ტრადიციები, გატარებულია საჭირო ქმედებები არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით.

პროგრამის აღწერა

მოძრავი და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გარდა, ჩვენს იდენტობასა და კულტურულ მრავალფეროვნებას ეროვნული ფოლკლორი, წინაპრებისგან გადმოცემული წეს-ჩვეულებები და ტრადიციები ქმნის, რასაც დღეს არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას ვუწოდებთ. 2008 წელს საქართველო მიუერთდა UNESCO-ს 2003 წლის კონვენციას „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ შესახებ. კონვენციის თანახმად, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა მოიცავს კულტურულ მემკვიდრეობას შემდეგი სფეროების მიხედვით: ზეპირსიტყვიერების ტრადიციები და გამოხატვის ფორმები, ენის, როგორც მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მატარებლის ჩათვლით; საშემსრულებლო ხელოვნება; საზოგადოებრივი პრაქტიკები: ადათ-წესები, წეს-ჩვეულებები, ზეიმები; ბუნებასა და სამყაროსთან დაკავშირებული ცოდნა; ხელოსნობის დარგები და ტექნიკა.

ეროვნული ფოლკლორი ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანია, განსაკუთრებით მუსიკალური ფოლკლორი, მითოლოგია, სარიტუალო ცეკვები, ხალხური რეწვა. ქართული ხალხური რეწვის განვითარებას მდიდარი ტრადიციები გააჩნია. მისი ყოველი დარგი - ქსოვა, კერამიკა, ხეზე კვეთა, საიუველირო ნაკეთობანი - გამოირჩევა განსხვავებული და მრავალფეროვანი ტექნიკით. ქართული მრავალხმიანობა UNESCO-ს არამატერიალურ ძეგლადაა მიჩნეული. უნიკალურობით გამოირჩევა აჭარის რეგიონის ქორეოგრაფია. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სისტემაში მოქმედი ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრთან“ ამჟამად 3 ფოლკლორული ანსამბლი მოღვაწეობს.

ქალაქისათვის უმნიშვნელოვანესია ეროვნული ფოლკლორის, როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, პოპულარიზაცია, აღორძინება, განვითარების ხელშეწყობა, ახალგაზრდობის ჩართულობის უზრუნველყოფა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად. პროგრამა ითვალისწინებს, ფოლკლორული მუსიკის მიმართულებით ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრთან“ არსებული შემოქმედებითი კოლექტივების პოპულარიზაციას და მხარდაჭერას. შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით გაიმართება ფესტივალები, კონცერტები, განხორციელდება შემოქმედებითი კოლექტივების სასცენო კოსტიუმებით, ინვენტარით, მუსიკალური ინსტრუმენტებით და სარეპეტიციო სივრცით უზრუნველყოფა, ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ გასტროლების დაფინასება. პროგრამა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების მიზნით ასევე ითვალისწინებს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერას, ქორეოგრაფიული და ხალხური სასიმღერო ხელოვნების ხელშეწყობას (მასტერკლასები ხალხური ქორეოგრაფიის და სიმღერის მიმართულებით), ბათუმში მოქმედი სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების ხელშეწყობას (სარეპეტიციო სივრცის გამოყოფა, სასცენო სამოსით და აქსერსუარებით უზრუნველყოფა, გასტროლების დაფინანსება), ტრადიციული რეწვის განვითარების ხელშეწყობას (რეწვის სახელოსნოების განვითარების ხელშეწყობა, რეწვის ოსტატებისათვის ვორქშოფებისა და ტრენინგების დაფინანსება, გამოფენებსა და ბაზრობებში მონაწილეობის მხარდაჭერა) და ფოლკლორის დაცვის, შენარჩუნების, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით კონფერენციების, კვლევების მხარდაჭერას.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ კულტურული ღონისძიებების (ფესტივალები, კონცერტები) ორგანიზება/მხარდაჭერა;
- ✓ შემოქმედებითი კოლექტივების გასტროლების დაფინანსება;
- ✓ შემოქმედებითი კოლექტივების მხარდაჭერა სარეპეტიციო სივრცის გამოყოფით, სასცენო ინვენტარის, კოსტიუმების, მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენით;
- ✓ ქორეოგრაფიული და ხალხური სასიმღერო ხელოვნების მიმართულებით მასტერკლასების დაფინანსება;
- ✓ ტრადიციული რეწვის განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ არამატერიალური კულტურული მემკვიდეობის დაცვისა და შენარჩუნების მიზნით საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტების (კონფერენციები, კვლევები და სხვ.) მხარდაჭერა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები და მათი მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება/მხარდაჭერა	კულტურული ღონისძიების დაბალი ხარისხი	2	3	6	სატენდერო პირობებით მაღალი სტანდარტების მოთხოვნების განსაზღვრა	1	2	2
2.	შემოქმედებითი კოლექტივების გასტროლების დაფინანსება	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესურსების მობილიზების მიზნით	2	3	6
3.	შემოქმედებითი კოლექტივების მხარდაჭერა სასცენო ინვენტარის, კოსტიუმებისა და მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენით	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესურსების მობილიზების მიზნით	2	3	6
4.	შემოქმედებითი კოლექტივების მხარდაჭერა სარეპეტიციო სივრცის გამოყოფით	სივრცეების დაზიანება და გულგრილად მოპყრობა	3	4	12	ხელშეკრულების თანახმად გამოყოფილი სივრცეების მონიტორინგი და დარღვევების შემთხვევაში შესაბამისი	2	2	4

						ღონისძიებების გატარება			
5.	ქორეოგრაფიული და ხალხური სასიმღერო ხელოვნების მიმართულებით მასტერკლასების დაფინანსება	მსურველთა სიჭარბე	3	4	12	დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება	2	3	6
6.	ტრადიციული რეწვის განვითარების ხელშეწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესურსების მობილიზების მიზნით	2	3	6
7.	არამატერიალური კულტურული მემკვიდეობის დაცვისა და შენარჩუნების მიზით საგანმანათლებლო -სამეცნიერო პროეტების მხარდაჭერა	პროექტების სიმცირე	3	4	12	მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ორგანიზებით გაიმართება საინფორმაციო შეხვედრები მიზნობრივ ჯგუფებთან	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქ. ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ შემოქმედებითი კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები;
- ❖ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციები;
- ❖ უმაღლესი სასწავლებლები, სტუდენტები და ლექტორ-მასწავლებლები;
- ❖ ტურისტები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ შემოქმედებითი კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები;
- ❖ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციები.
- ❖ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროგრამის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური;
ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრი“.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019 - 2021	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება/მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019 - 2021	შემოქმედებითი კოლექტივების გასტროლების დაფინანსება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019 - 2021	შემოქმედებითი კოლექტივების მხარდაჭერა სასცენო ინვენტარის, კოსტიუმებისა და მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენით.	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020 - 2021	შემოქმედებითი კოლექტივების მხარდაჭერა სარეპეტიციო სივრცის გამოყოფით	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019 - 2021	ქორეოგრაფიული და ხალხური სასიმღერო ხელოვნების მიმართულებით მასტერკლასების დაფინანსება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2021	ტრადიციული რეწვის განვითარების ხელშეწყობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020 - 2021	არამატერიალური კულტურული მემკვიდეობის დაცვისა და შენარჩუნების მიზით საგანმანათლებლო-სამეცნიერო პროეტების მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;
- ღონისძიებებზე დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა;
- საზღვარგარეთ გამართული ღონისძიებების რაოდენობა;
- მასტერკლასებზე დამსწრე პირთა რაოდენობა;
- ტრადიციული რეწვის მიმართულებით განხორციელებული პროექტების რაოდენობა;
- ტრადიციული რეწვის მიმართულებით განხორციელებული პროექტებში ჩართულ პირთა რაოდენობა;
- დაფინანსებული კონფერენციების და კვლევების რაოდენობა;
- დაფინანსებულ კონფერენციებსს და კვლევებში მონაწილეთა რაოდენობა.

სტრატეგიული მიმართულება 2

შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება

2.1. ლიტერატურული ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა;

2.2. სამუსიკო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა;

2.3. აუდიოვიზუალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა;

2.4. თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა.

2.5. სახვითი ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა;

2.6. შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობა.

2.1. ლიტერატურული ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ქართული ლიტერატურული ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა, ქართული ლიტერატურისადმი ინტერესის გაღვივება, ქართველ ხელოვანთა შემოქმედებისა და ღვაწლის გაცნობა, წიგნიერების პოპულარიზაცია, ახალგაზრდების შემოქმედებითი უნარების წარმოჩენა და განვითარება, ბათუმის, როგორც ლიტერატურული ხელოვნებით მდიდარი და მრავალფეროვანი ქალაქის ცნობადობის გაზრდა და პოპულარიზება.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად გამრავალფეროვნებულია ქალაქის ლიტერატურული ცხოვრება, გაზრდილია სიტყვაკაზმული მწერლობისა და წიგნიერების პოპულარიზაცია. ხელშეწყობილია ახალგაზრდების ინტელექტუალური აზროვნების ზრდა, რაც სამომავლოდ ახალგაზრდებს თავიანთი შემოქმედებითი უნარების კონკურენტულ პირობებში წარმოჩენასა და განვითარებაში დაეხმარება.

პროგრამის აღწერა

კულტურის პოლიტიკის დოკუმენტის „კულტურის სტრატეგია 2025-ის“ თანახმად, საქართველოს მთავრობის მისიაა შექმნას ხელსაყრელი გარემო და ნოყიერი ნიადაგი ეროვნული მემკვიდრეობის, კულტურული მრავალფეროვნების დაცვისა და მისი ახლებურად გააზრების, შემოქმედებითი საქმიანობის განვითარებისა და კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებისთვის. აღნიშნულის მისაღწევად მნიშვნელოვანია ლიტერატურის განვითარების ხელშეწყობა, რადგან ლიტერატურა ქართველი ხალხის სულიერი კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. მასში ასახულია ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი წარსული, მისი ნაფიქრ-ნაზრევი, მისწრაფებანი, იდეალები. ქართულმა ლიტერატურამ უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. თავისი მწერლობით ქართველმა ხალხმა გარკვეული წვლილი შეიტანა საკაცობრიო კულტურის ისტორიაში.

ლიტერატურის განვითარება, მისადამი სიყვარულის გაღვივება, წიგნიერების დონის ამაღლება, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საქართველოში. ამ მიმართულებით აუცილებელია საზოგადოებისთვის შესაბამისი რესურსებით აღჭურვილი სივრცის შეთავაზება. თუ გარემოს არ შეუძლია ადამიანთა ინტერესების სრულად დაკმაყოფილება, ინტერესთა სფერო არათუ ფართოვდება, პირიქით, დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად იკლებს.

დღესდღეობით ბათუმში რიგ სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში, სკოლებში, პროფესიულ სასწავლებლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ფუნქციონირებენ ბიბლიოთეკები, 1902 წლიდან ქალაქს ემსახურება ა(ა)იპ „ქ. ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა”, რომელშიც ახალი საუკუნის დასაწყისიდან დაინერგა ახალი ტექნოლოგიები, შემოიტანეს კომპიუტერები, ტექნიკური აპარატურა, ვითარდება კომუნიკაციის სისტემები, 2001 წლიდან ინტერნეტი გამოიყენება საბიბლიოთეკო პროცესებში და მკითხველთა მომსახურებისას. 2009 წელს შეიქმნა ბიბლიოთეკის ერთიანი კომპიუტერული ქსელი და დაიწყო ელექტრონული კატალოგების წარმოება. ბიბლიოთეკა თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა საელჩოებსა და მოქმედ ფონდებთან. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ბიბლიოთეკა გამართულად და თანამედროვე სტანდარტებით მოღვაწეობს. აქ ყველა პირობაა შექმნილი საქმიანობის მაღალ პროფესიულ დონეზე წარმართვისათვის, თუმცა მეთოდოლოგიურად შრომის პროცესების შემდგომ დახვეწაზე მუშაობა გრძელდება.

საჯარო ბიბლიოთეკა კულტურული პროგრამებისა და სამკითხველო დარბაზების მომსახურებით, სხვადასხვა ღონისძიებებითა და აქტივობებით, მონაწილე ავტორებით, მწერლებით, პოეტებითა და შემოქმედი ახალგაზრდებით აქტიურად ეწევა ლიტერატურის პოპულარიზაციას.

ქალაქში, 1957 წლიდან ფუნქციონირებს „მწერალთა სახლი“, რომელიც აქტიურად მუშაობს ქართული და არა მარტო ქართული, გემოვნებიანი ლიტერატურისა და ყველა თაობის მწერალთა შემოქმედების პოპულარიზაციისთვის.

2016 წლიდან ბათუმში ფუნქციონირებს ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრი, რომლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია მრავალფეროვანი თანამედროვე ლიტერატურურით. ცენტრში მუდმივად იმართება საგანმანათლებლო - შემეცნებითი აქტიობები, ღონისძიებები, შეხვედრები, სემინარები, ლექციები, მასტერკლასები.

აჭარის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეს დიდი ხნის ტრადიციები გააჩნია, იგი დღესაც წარმატებით მუშაობს და ასეულობით ნიჭიერ ახალგაზრდას უხსნის ფართო ასპარეზს. სასახლეში წრეების დიდი ნაწილი უფასოა.
მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში სისტემატურად ტარდება ღონისძიებები. სასახლის ნიჭიერი ბავშვები მონაწილეობენ სხვადასხვა სახის პროექტებში, კონკურსებში, ფესტივალებში და წარმატებასაც აღწევენ.

ბათუმი ყოველთვის იყო საქართველოს ერთ - ერთი ყველაზე გამორჩეული კულტურული ცენტრი, მათ შორის ლიტერატურის თვალსაზრისით, აქ სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართული ლიტერატურის გამორჩეული კორიფეები, მწერლები, პოეტები, საზოგადო მოღვაწეები. შავიზღვისპირა ქალაქი არაერთისთვის გამხდარა შთაგონების წყარო.

ცნობილია, რომ ლიტერატურა სულიერად ამდიდრებს ადამიანს, აწვდის მას გონებრივ და ინტელექტუალურ საზრდოს, აფართოებს მის აზროვნების არეალს, აძლევს მას ლოგიკური განსჯის უნარს, ლექსიკურ მარაგსა და სხვა სიკეთეებს, რაც მნიშვნელოვანია ადამიანის განვითარებისათვის. გურამ დოჩანაშვილი ამბობს: „ყოველი ნორმალური მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ხდები ოდნავ უკეთესი ვიდრე ხარ, უფრო ჭკვიანი ვიდრე იყავი.” დავით აღმაშენებელს ომებში თან დაჰქონდა ბიბლიოთეკა და ბრძოლების შუალედების დროს კითხულობდა მათ. შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი" თითოეული ქართველის ოჯახში სამაგიდო წიგნად ითვლება დღესაც.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ტექნიკის განვითარებამ, ადამიანთა ცხოვრებაში კომპიუტერის დამკვიდრებამ მნიშვნელოვნად გაანელა ინტერესი წიგნის მიმართ. მოზარდთა ცხოვრებაში კომპიუტერის დიდი როლის უარყოფა შეუძლებელია. თანამედროვე ახალგაზრდების ყოველდღიურობაში იგი მყარად დამკვიდრდა. წარმოუდგენელია, მოსწავლეს ცოდნის შეძენა სურდეს და კომპიუტერის გამოყენება არ შეეძლოს. იგი ადამიანს საშუალებას აძლევს, სწრაფად მოიძიოს სასურველი მასალა, დაუყოვნებლის მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, შექმნას პერსონალური ვებ-გვერდი, იმოგზაუროს განუსაზღვრელ დროსა და სივრცეში, დედამიწის გარშემო და მის ფარგლებს გარეთ, წარსულში, აწმყოსა და მომავალში.

მოზარდთა წიგნიერების დაბალი დონე თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელვანესი გამოწვევაა. მოზარდთა ცხოვრებაში კომპიუტერის დიდი როლის უარყოფა შეუძლებელია, მაგრამ წიგნით შეძენილი ცოდნა ღრმაა და საფუძვლიანი, მისით მიღებული შთაბეჭდილება – წარუშლელი, დაუვიწყარი, მასში ჩაქსოვილი სიბრძნე – დამაფიქრებელი, მისი მხატვრული სამყაროს წვდომა – ესტეთიკური სიამოვნების მომნიჭებელი, ამაღელვებელი.

წიგნიერება არსებითად მნიშვნელოვანია ჩვენი ერის მომავალი განვითარებისათვის. გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემებით, 2006 წელს საქართველო საერთაშორისო საგანმანათლებლო მიღწევების საერთაშორისო ასოციაციის (PIRLS) კვლევაში ჩაერთო. ამ კვლევაში მსოფლიოს 45 ქვეყანაა ჩართული, 5 წელიწადში ერთხელ ტარდება და მიზნად ისახავს სწავლების დონის ამაღლების გზების ძიებას. საქართველოში ამგვარი კვლევა გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა. აღმოჩნდა, რომ საქართველოს სკოლის მოსწავლეების შედეგები საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელზე დაბალია. 2011 წლის PIRLS-ის წიგნიერების კვლევის მიხედვით, 2006 წელთან შედარებით, საქართველოში კითხვის უნარების მონაცემები გაუმჯობესდა, თუმცა ამ შედეგებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები არ შეინიშნება.

სწორედ ამიტომ, მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია ქართული ლიტერატურის განვითარება და პოპულარიზაცია, ბათუმელი პოეტებისა და მწერლების, ლიტერატურის მოყვარულების მხარდაჭერა, საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, გამოფენებსა და კონკურსებში მონაწილეობის, წიგნიერების, მკითხველის ზრდის ხელშეწყობა, შემოქმედებითი წერის სწავლების მხარდაჭერა და ლიტერატურათმცოდნეობისა და ლიტერატურული კრიტიკის განვითარების წახალისება, ელექტრონული წიგნის განვითარების, მისი გავრცელებისა და პოპულარიზაციის მიზნით, შესაბამისი გადამზადების პროგრამების მხარდაჭერა, მოსწავლეებში წიგნის პოპულარიზაცია და კითხვის კულტურის დამკვიდრება, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს მოზარდებში წიგნიერების დონის ამაღლებას და კითხვის ჩვევის გამომუშავებას.

პროგრამის ფარგლებში, ქართული ლიტერატურისადმი ინტერესის გაღვივებისა და წიგნიერების პოპულარიაციის მიზნით განხორციელდება სხვადასხვა სახის (პროზისა და პოეზიის) კონკურსებისა და საგანმანათლებლო პროექტების ორგანიზება/მხარდაჭერა, მოეწყობა ლიტერატურული საღამოები, ფესტივალები, გამოფენები, შეხვედრები ცნობილ/პოპულარულ მწერლებთან/პოეტებთან, ბათუმელი ავტორების/ბათუმზე ნაწარმოებების გამოცემის (მათ შორის სხვა ენებზე) მხარდაჭერა და სხვ.

განსახორციელებელი ღონისძიებები:

- ✓ ლიტერატურული ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა ორგანიზაციებთან (მაგ.: მწერალთა სახლი, ბიბლიოთეკები და სხვ.) თანამშრომლობა (მათ შორის ორგანიზაციების საჭიროებების განსაზღვრის მიზნით);
- ✓ კითხვის უნარ-ჩვევებისა და წიგნიერების განვითარებისა და ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების (მაგ.: შემოქმედებითი საღამოები, ლიტერატურული კონკურსები, წიგნის ფესტივალები, მწერლებთან შეხვედრები და ა.შ.) მხარდაჭერა;
- ✓ ქართული ლიტერატურის განვითარებისა და საერთაშორისო პოპულარიზაციის მიზნით, საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, გამოფენებსა და კონკურსებში მონაწილეობის მხარდაჭერა;
- ✓ ბათუმელი ავტორების/ბათუმზე ნაწარმოებების გამოცემის (მათ შორის სხვა ენებზე) ხელშეწყობა;
- ✓ ელექტრონული წიგნის განვითარების, მისი გავრცელებისა და პოპულარიზაციის მიზნით, შესაბამისი გადამზადების პროგრამების მხარდაჭერა;
- ✓ სალიტერატურო პერიოდული ჟურნალების გამოცემის ხელშეწყობა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძიებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	ლიტერატურული ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	თანამშრომლობის ნაკლები ინტერესი	3	3	9	საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება და ინფორმირებულობის ამაღლება	2	3	6
2.	კითხვის უნარ-ჩვევებისა და წიგნიერების განვითარებისა და ლიტერატურის	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6

	პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა	პროექტების ორგანიზების დაბალი ხარისხი	3	4	12	რეგულარული მონიტორინგის წარმოება	2	3	6
3.	ქართული ლიტერატურის განვითარებისა და საერთაშორისო პოპულარიზაციის მიზნით, საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6
4.	ბათუმელი ავტორების/ბათუმზე ნაწარმოებების გამოცემის (მათ შორის სხვა ენებზე) ხელშეწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6
		მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით ან დაბალი ხარისით შესრულება	3	4	12	ვალდბულების შესრულებაზე მონიტორინგის წარმოება	2	3	6
5.	ელექტრონული წიგნის განვითარების, მისი გავრცელებისა და პოპულარიზაციის მიზნით, შესაბამისი გადამზადების პროგრამების მხარდაჭერა	პროგრამის ორგანიზების დაბალი ხარისხი	2	3	6	რეგულარული მონიტორინგის წარმოება	1	2	2
6.	სალიტერატურო პერიოდული ჟურნალების გამოცემის ხელშეწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6
		მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით ან დაბალი ხარისით შესრულება	3	4	12	ვალდბულების შესრულებაზე მონიტორინგის წარმოება	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები/ორგანიზაციები;
- ❖ ბათუმის მოსახლეობა,
- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები/ორგანიზაციები;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ რეგიონალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური;
ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019-2021	ლიტერატურული ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	კითხვის უნარ-ჩვევებისა და წიგნიერების განვითარებისა და ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	ქართული ლიტერატურის განვითარებისა და საერთაშორისო პოპულარიზაციის მიზნით, საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020-2021	ბათუმელი ავტორების/ბათუმზე ნაწარმოებების გამოცემის (მათ შორის სხვა ენებზე) ხელშეწყობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020-2021	ელექტრონული წიგნის განვითარების, მისი გავრცელებისა და პოპულარიზაციის მიზნით, შესაბამისი გადამზადების პროგრამების მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2021	სალიტერატურო პერიოდული ჟურნალების გამოცემის ხელშეწყობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ✓ ჩატარებული პროექტებისა და ღონისძიებების (მაგ.: შემოქმედებითი საღამოების, ლიტერატურული კონკურსების, წიგნის ფესტივალების, მწერლებთან შეხვედრების და ა.შ.) რაოდენობა;

- ✓ ჩატარებულ პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა;
- ✓ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა;
- ✓ გამოცემული ბათუმელი ავტორების/ბათუმზე ნაწარმოებების რაოდენობა;
- ✓ დაფინანსებული გადამზადების პროგრამების რაოდენობა;
- ✓ გადამზადების პროგრამებში მონაწილეთა რაოდენობა;
- ✓ გამოცემულ სალიტერატურო პერიოდულ ჟურნალების რაოდენობა.

2.2. სამუსიკო ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია სამუსიკო ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის განვითარება და პოპულარიზაცია, ახალგაზრდა თაობის სამუსიკო ხელოვნებაში ჩართულობის ხელშეწყობა, ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება და ცნობადობის გაზრდა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად განვითარებული და პოპულარიზებულია სამუსიკო ხელოვნების სხვადასხვა ჟანრი, ხელშეწყობილია ახალგაზრდების შემოქმედებითი უნარების წარმოჩენა და განვითარება, გამრავალფეროვნებულია ქალაქის კულტურული ცხოვრება და გაზრდილია მისი ცნობადობა.

პროგრამის აღწერა

საქართველო უძველესი მუსიკალური კულტურის და ვოკალური მრავალხმიანობის კლასიკური ქვეყანაა. ქართველმა ხალხმა თავისი მრავალსაუკუნოვანი განვითარების გზაზე შექმნა საერო და სასულიერო მუსიკის მაღალმხატვრული ნიმუშები. ქართული ხალხური მუსიკა აღიარებულია უნიკალურ მოვლენად. მასში გაცხადდა ქართველი ხალხის შემოქმედებითი ენერგია და გამომგონებლობა, მისი მუსიკალური გენია. ქართულმა ხალხურმა მრავალხმიანმა სიმღერამ განვითარებისა და სრულყოფის ხანგრძლივი პერიოდი განვლო. დროთა განმავლობაში გროვდებოდა, თვისობრივად და რაოდენობრივად იცვლებოდა ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკა.

2001 წელს იუნესკომ ქართული ხალხური მუსიკალური კულტურა აღიარა „მსოფლიოს არამატერიალური, სულიერი საგანძურის შედევრად".
საერთაშორისო აღიარებას მიაღწია ქართულმა საშემსრულებლო ხელოვნებამაც, რომელიც შეუნელებელი წარმატებით ვითარდება XIX საუკუნის მიწურულიდან დღევანდლამდე. ამ ვრცელსა და საინტერესო გზას, ღვაწლმოსილ პედაგოგებთან ერთად, ავითარებენ სხვადასხვა თაობის გამოჩენილი ქართველი დირიჟორები, მომღერლები, ინსტრუმენტალისტები. საშემსრულებლო ხელოვნებაში მთელი სისავსით გაცხადდა ქართველი მუსიკოსების შემოქმედებითი ენერგია და ოსტატობა, მასშტაბური ტალანტი.

გამოჩენილ ქართველ ვოკალისტებს, პიანისტებს, მევიოლინეებს ფართოდ უღებენ კარს მსოფლიოს მუსიკალურ ცენტრებში. ისინი ბრწყინავენ საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზე, ამშვენებენ სახელგანთქმულ საოპერო სცენებსა და საკონცერტო ესტრადებს.

ბათუმი გამორჩეულია კულტურული ღონისძიებების სიმრავლით. იგი ყოველწლიურად მნიშვნელოვან კულტურულ, სპორტულ და სამეცნიერო ღონისძიებებს, სახალხო დღესასწაულებს, საერთაშორისო ფესტივალებს მასპინძლობს.
ბათუმში წლებია მერიის მხარდაჭერით იმართება კლასიკური, ფოკლორული, ელექტრონული თუ ქალაქური მუსიკის ფესტივალები, რომლებიც საოცრად უხდებიან ზღვისპირა ქალაქს და სიამოვნებას ანიჭებენ მუსიკის მოყვარულ ბათუმელებსა და ქალაქის სტუმრებს.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ხელს შეუწყობს მუსიკალურ ფესტივალებსა და ამ მიმართულებით ყველა ახალ წამოწყებას, რადგან სწორედ ასეთი ფესტივალებითა და ღონისძიებებით წარმოჩინდება ჩვენი ქალაქის სახე მსოფლიოს მასშტაბით. ბათუმში არსებული სივრცე კი მსგავსი ფესტივალების მოსაწყობად უნიკალური გახლავთ და ქალაქი, შესაძლოა მძლავრ კულტურულ ცენტრად იქცეს. მუსიკალური ფესტივალების სიმრავლეს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კულტურული ტურიზმის განვითარების მიმართულებითაც. იგი ხელს უწყობს ბათუმის ცნობადობის გაზრდასა და პოპულარიზაციას.

სამუსიკო ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის განვითარებისათვის და ახალგაზრდა თაობის სამუსიკო ხელოვნებაში ჩასართავად მნიშვნელოვანია სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი

სასწავლო გარემოს (საკრავები, სასწავლო მასალები, ნოტები) განვითარების ხელშეწყობა. ადგილობრივ კომპოზიტორთა და მუსიკის შემსრულებელთა პროფესიული განვითარების მიზნით მუსიკის სფეროში, განსაკუთრებით კლასიკურ მუსიკაში, სხვადასხვა ღონისძიებების, ფესტივალების, კონკურსების, მასტერკლასების ჩატარება, ასევე, საერთაშორისო ღინისძიებებში (კონკურსები, ფესტივალები და სხვ.) ბათუმელი მუსიკოსების მონაწილეობის მხარდაჭერა.
დღეის მდგომარეობით, ქალაქში არაერთი მძლავრი მუსიკალური სასწავლებელი, უმაღლესი დაწესებულება ფუნქციონირებს:
ქ. ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა 1899 წელს დაფუძნდა. მის ბაზაზე 1928 წელს შეიქმნა სამუსიკო სასწავლებელი. 2008 წლიდან სამუსიკო სკოლის და სასწავლების ბაზაზე ჩამოყალიბდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლა (თერთმეტწლედი), სადაც ფუნქციონირებს საფორტეპიანო, საორკესტრო, საგუნდო-სადირიჟორო და ვოკალური განყოფილებები.

სკოლა 3 საფეხურინია: I-VI კლ.- დაწყებითი; VII- IX კლ. - საბაზო და X-XI კლ.- სპეციალური. სკოლაში ასწავლიან მაღალკვალიფიციური პედაგოგები. მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში, სადაც აღწევენ წარმატებებს. სკოლის კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებენ უმაღლეს საფეხურზე, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც. პედაგოგთა მაღალი შემოქმედებითი აქტივობების შედეგად გამოვლინდა მრავალი ნიჭიერი მოსწავლე, რომლებმაც მიაღწიეს წარმატებებს რეგიონის, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ღონისძიებებსა და კონკურსებში.

2013 წელს ჩატარდა შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები. მოეწყო დიდი და მცირე საკონცერტო დარბაზები, სადაც რეგულარულად ტარდება კლასიკურის მუსიკის კონცერტები, საერთაშორისო და რეგიონული კონკურსები. ფესტივალები. მასტერკლასები.

ბათუმის რევაზ ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლა დაარსდა 1976 წელს. სკოლაში 4 განყოფილება ფუნქციონირებს: საფორტეპიანო, ვოკალური, საორკესტრო და საგუნდო-სადირიჟორო, რომლებსაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ხელმძღვანელობენ.
სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები და კონცერტმაისტერები აქტიურად არიან ჩაბმული სასკოლო, რეგიონალურ, რესპუბლიკურ, საერთაშორისო კონკურს–ფესტივალებში და ყოველთვის აქვთ განსაკუთრებული შედეგები. რევაზ ლაღიძის სახელობის სკოლის კურსდამთავრებულები არიან: სულხან ჯაიანი, ეთერ ხალვაში, ელიზბარ ჩხაიძე, ასლან დიასამიძე, მარიამ ფირცხალაიშვილი, სალომე სურმანიძე, დიანა ხაჩატურიანი, ალექსანდრე გელაძე, ხვიჩა ხოზრევანიძე, სახელმწიფო კაპელის, მუსიკალური ცენტრის, საოპერო სტუდიის მსახიობები.
2006 წლის ნოემბერში დაარსდა სსიპ მ. ბალანჩივაძის სახელობის ხელოვნების სკოლა. 2008 წელს სკოლამ შეიძინა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტატუსი, ხოლო 2012 წლის 1 იანვრიდან სკოლას შეეცვალა სახელწოდება და ამჟამად ეწოდება ა(ა)იპ მ. ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლა.

სკოლაში ფუნქციონირებს ოთხი განყოფილება: ინსტუმენტული განყოფილება - მოსწავლები ეუფლებიან სხვადასხვა საკრავზე დაკვრას; საგუნდო განყოფილება - მოსწავლეები ეუფლებიან ხალხურ და აკადემიურ გუნდში სიმღერას, დირიჟორობას, ფორტეპიანოზე და ხალხურ ინსტრუმენტებზე დაკვრას; ქორეოგრაფიული განყოფილება - მოსწავლეები ეუფლებიან ქართულ ხალხურ ცეკვებს, სწავლობენ სამეჯლისო ცეკვების ელემენტებს და ქორეოგრაფიის ისტორიას; ექსპერიმენტული განყოფილება - გამორჩეული მუსიკალური ნიჭის მქონე ბავშვები გადიან ყველა საგანს გაძლიერებული პროგრამით და ეუფლებიან ორ ან სამ საკრავზე დაკვრას.

მ. ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლას აქვს სამი ფილიალი: აღმაშენებლის დასახლების ფილიალი, თამარის დასახლების ფილიალი და ურეხის ფილიალი.

სკოლის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი აგრძელებს მუსიკალურ განათლებას. მ. ბალანჩივაძის ხელოვნების სკოლის კურსდამთავრებულები არიან: მომღერლები - სოფო ხალვაში და ლუკა ზაქარიაძე; კომპოზიტორები - ანა ქასრაშვილი, მინდია ხითარიშვილი, ზვიად ბოლქვაძე, ვაჟა ტუღუში და თემურ იმნაძე; პიანისტები - თინიკო წულაძე და თეა ბარამიძე; მსახიობები - ამიკო ჩოხარაძე და ხვიჩა

მაღლაკელიძე. ამ სკოლის კურსდამთავრებულებითაა დაკომპლექტებული ბათუმის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მნიშვნელოვანი ნაწილი.

სკოლაში არსებული გუნდები, ქორეოგრაფიული ჯგუფები და სხვადასხვა განყოფილების მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ საქართველოში და საზღვარგარეთ ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში, სადაც არაერთი დიპლომი აქვთ მოპოვებული.

2004 წელს შეიქმნა ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი, სადაც გაერთიანდა აჭარის სახელმწიფო სიმფონიურის ორკესტრი (1978 წ.), ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი (1993 წ.), აჭარის სახელმწიფო კაპელა (1998 წ.), ბათუმის ბავშვთა ოპერისა და ბალეტის თეატრი (2000წ.), ქორეოგრაფიული ანსამბლი „ხორუმი“ (2005-2006 წწ.). 2007 წლიდან ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში განხორციელდა რეოგრანიზაცია, რომლის შედეგად მუსიკალურ ცენტრს შეუერთდა ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის საოპერო სტუდია (2005 წ.), ტრიო „ნოტა (200წ.), ქალთა კამერული გუნდი (2007-10 წწ.). დღეისთვის ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გაერთიანებულია სიმფონიური ორკესტრი, კაპელა, საოპერო დასი, ახალგაზრდული მუსიკალური თეატრი და ვოკალური კვარტეტი „ნოტა“, რომლებიც როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად მუშაობენ კლასიკური თუ თანამედროვე მუსიკის სხვადასხვა ჟანრში. 2011 წელს ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრს გადაეცა განახლებული „ხელოვნებიც ცენტრი“ (არქიტექტორები- ვლადიმერ და გიორგი ხმალაძეები).

ხელოვნების ცენტრის შენობა წარმოადგენს ძველ და ახალ არქიტექტურულ სტილთა სინთეზს (1953-2011). ათას სავარძლიანი საკონცერტო დარბაზი აღჭურვილია განათებითა და გახმოვანების თანამედროვე ტექნიკით, შენობის ინტერიერი მოიცავს არტ კაფეს, ტერასებს, საგამოფენო სივრცეებს, სადაც სტუმრებს შეუძლიათ ესთეტიკურად მიმზიდველ გარემოში დაესწრონ სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. ხელოვნების ცენტრში იმართება ადგილობრივი და საერთაშორისო, ტრადიციული და თანამედროვ სახის ფესტივალები, კონცერტები, წარმოდგენები, გასართობ-შემეცნებითი საღამოები, გამოფენები და კონფერენციები. ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული კერაა რეგიონში.

2007 წელს შეიქმნა ქ. ბათუმის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი. ცენტრის ძირითადი ამოცანაა ქართული ფოლკლორის, კამერული მუსიკის, ესტრადის პოპულარიზაცია. ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის საქმიანობის მიზანია მოსახლეობის ფართო ფენების კულტურული მომსახურება. დაარსებიდან დღემდე ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივები აქტიურად მონაწილეობენ ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში, იმართება კონცერტები, შეხვედრები, გამოფენები, გასტროლები და სხვ.

1996 წელს ქ.ბათუმში გაიხსნა მემედ აბაშიძის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტი, რომლის ერთ-ერთი მიმართულება გახლდათ მუსიკის ფაკულტეტი. თავის მხრივ, მუსიკის ფაკულტეტში შედიოდა საფორტეპიანო, საორკესტრო, ვოკალური, საგუნდო-სადირიჟორო და თეორიული კათედრები.
1998 წელს მუსიკის ფაკულტეტი გამოეყო ხელოვნების ინსტიტუტს, ჩამოყალიბდა ცალკე სტრუქტურულ ერთეულად და ეწოდა ქ. ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია. საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 თებერვლის №137 დადგენილების საფუძველზე იგი გაერთიანდა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნების ფაკულტეტის კონსერვატორიის სტატუსით. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აგვისტოს №146 დადგენილების საფუძველზე ხელოვნების ფაკულტეტის კონსერვატორიის ბაზაზე შეიქმნა მუსიკის ფაკულტეტი.
ფაკულტეტი აერთიანებს 3 დეპარტამენტს: კლავიშიან საკრავთა, აკადემიური სიმღერის და სამუსიკო პედაგოგიკის, მუსიკის თეორიის, საორკესტრო და აკადემიური გუნდის დირიჟორობის დეპარტამენტებს.
დღეისათვის მუსიკის ფაკულტეტი ახორციელებს შემდეგ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს. კერძოდ: ბაკალავრიატი - საფორტეპიანო, საორკესტრო-სიმებიანი, საორკესტრო-სასულე, აკადემიური სიმღერა, აკადემიური დირიჟორობა, მუსიკის თეორია. ასევე. 2010 წლიდან მოქმედებს სამაგისტრო პროგრამები: საფორტეპიანო, აკადემიური სიმღერა, ეთნომუსიკოლოგია. აღნიშნული პროგრამები ეროვნული განათლების ტრადიციებზე დაყრდნობით ინტეგრირებულია ბოლონიის პროცესის თანამედროვე ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან.

ფაკულტეტზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. ბევრი მათგანი დღეისათვის წარმატებული მუსიკოსია და მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ: მარსელში, პარიზში, გერმანიაში, იტალიაში... მუსიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ სწავლას დოქტორანტურაში.
მუსიკის ფაკულტეტზე სისტემატურად ტარდება სტუდენტთა როგორც სოლო კონცერტები, ასევე კონცერტები აჭარის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. სტუდენტები აქტიურად და წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა ფესტივალებსა და კონკურსებში.
სამუსიკო ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაციას და განვითარებას ემსახურება ქალაქში მოქმედი სხვადასხვა შემოქმედებითი კოლექტივები და საბავშვო სტუდიები (მაგ. ვაჟა ტუღუშის ტრიო, ოთხი სეზონი, სი საიდი, უნივერსიტეტის ბენდი, ჩერი ბენდი, სტუდია „ლიმპოპო“, სტუდია „ლალე“, მუსიკალური სტუდია „ჰარმონია“ და სხვ.). მათი მონაწილეობით გამართული კულტურული ღონისძიებები გამოირჩევა მაღალი ხარისხით და ისინი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობენ.
პროგრამა, მუსიკალური ხელოვნების მიმართულებით ქალაქში არსებული ადამიანური და მატერიალური რესურსის გაძლიერების მიზნით, ითვალისწინებს ბათუმელი შემსრულებლებისა და ქალაქში არსებული მუსიკალური დაწესებულების/ორგანიზაციების მხარადჭერას, რაც სამუსიკო ხელოვნების სხვადასხვა ჟანრის პოპულარიზაციას, სამუსიკო ხელოვნების განვითარებასა და ქალაქის ცნობადობის გაზრდას შეუწყობს ხელს. პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება სამუსიკო ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებებში ბათუმელი შემსრულებლების მონაწილეობით კონცერტების, ფესტივალების, კონკურსების ორგანიზება/მხარდაჭერა; ახალგაზრდა თაობის სამუსიკო ხელოვნებაში ჩართულობის ხელშეწყობა, მასტერკლასების, კონფერენციების მხარდაჭერა, ახალგაზრდების საქართველოში და საზღვარგარეთ სწავლის სტიმულირება და სხვ.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ მუსიკალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან (მაგ.: სამუსიკო სკოლები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, მუსიკალური ცენტრები, შემოქმედებითი კოლექტივები და საბავშვო სტუდიები და სხვ.) თანამშრომლობა (მათ შორის დაწესებულებების/ორგანიზაციების საჭიროებების განსაზღვრის მიზნით);
- ✓ მუსიკალური ხელოვნების განვითარებისა და მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების (მაგ.: შემოქმედებითი საღამოები, მუსიკალური კონკურსები, ფესტივალები და ა.შ.) მხარდაჭერა;
- ✓ საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, კონკურსებში და სხვ. ბათუმელ შემსრულებელთა მონაწილეობის მხარდაჭერა;
- ✓ ბათუმელი შემსრულებლების პროფესიული ზრდის მიზნით კონფერენციების, მასტერკლასების, ვორკშოფების, ტრენინგების ჩატარების მხარდაჭერა;
- ✓ მუსიკალური ხელოვნების მიმარულებით ახალგაზრდების საქართველოში და საზღვარგარეთ სწავლის სტიმულირება;
- ✓ სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი სასწავლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა

1.	მუსიკალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა დაწესებულებებთან /ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	თანამშრომლობის ნაკლები ინტერესი	3	3	9	საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება და ინფორმირებულობის ამაღლება	2	3	6
2.	მუსიკალური ხელოვნების განვითარებისა და მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6
		პროექტების ორგანიზების დაბალი ხარისხი	3	4	12	რეგულარული მონიტორინგის წარმოება	2	3	6
3.	საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, კონკურსებში და სხვ. ბათუმელ შემსრულებელთა მონაწილეობის მხარდაჭერა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6
4.	ბათუმელი შემსრულებლების პროფესიული ზრდის მიზნით კონფერენციების, მასტერკლასების, ვორკშოფების, ტრენინგების ჩატარების მხარდაჭერა	კონფერენციების, მასტერკლასების, ვორკშოფების ორგანიზების დაბალი ხარისხი	3	4	12	რეგულარული მონიტორინგის წარმოება	2	3	6
5.	მუსიკალური ხელოვნების მიმარულებით ახალგაზრდების საქართველოში და საზღვარგარეთ სწავლის სტიმულირება	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6
6.	სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი სასწავლო გარემოს განვითარების	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6

	ხელშეწყობა								

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორები;
- ❖ მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენელი პროფესიონალები;
- ❖ მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების ახალგაზრდა პროფესიონალები და სტუდენტები;
- ❖ მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების მოყვარულები;
- ❖ ტურისტები;
- ❖ ვიზიტორები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორები;
- ❖ მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები, ჯგუფები, სასწავლებლები, დაწესებულებები; ორგანიზაციები.
- ❖ რეგიონული ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019-2021	მუსიკალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	მუსიკალური ხელოვნების განვითარებისა და მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, კონკურსებში და სხვ. ბათუმელ შემსრულებელთა მონაწილეობის მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	ბათუმელი შემსრულებლების პროფესიული ზრდის მიზნით კონფერენციების, მასტერკლასების, ვორკშოფების, ტრენინგების ჩატარების მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	მუსიკალური ხელოვნების მიმარულებით ახალგაზრდების	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

	საქართველოში და საზღვარგარეთ სწავლის სტიმულირება												
2020-2021	სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი სასწავლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ჩატარებული პროექტებისა და ღონისძიებების (მაგ.: შემოქმედებითი საღამოების, მუსიკალური კონკურსების, ფესტივალების და ა.შ.) რაოდენობა;
- ჩატარებულ პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა;
- საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა;
- ჩატარებული კონფერენციების, მასტერკლასების, ვორკშოფების, ტრენინგების რაოდენობა;
- ჩატარებულ კონფერენციებში, მასტერკლასებში, ვორკშოფებსა და ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა
- დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის მიზნით დაფინანსებულ პროექტთა რაოდენობა.

2.3. აუდიოვიზუალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია აუდიოვიზუალური ხელოვნების განვითარება და პოპულარიზაცია, აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში მომუშავე ადამიანების პროფესიულ ზრდა, ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ახალგაზრდა თაობის კულტურულ პროცესებში ჩართულობის ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად განვითარებული და პოპულარიზებულია აუდიოვიზუალური ხელოვნება, ამაღლებულია აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში მომუშავე ადამიანების პროფესიული უნარები, გამრავალფეროვნებულია ქალაქის კულტურული ცხოვრება, ახალგაზრდა თაობა ჩართულია ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.

პროგრამის აღწერა

თანამედროვე ეპოქაში კინოემატოგრაფიას დიდი ადგილი უკავია ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. საზოგადოების ინტერესს იწვევს, მსოფლიო კინომწარმოებლების ყველა ახალი წამოწყება და ახალი ფილმი. კინოხელოვნება, როგორც ვიზუალური ხელოვნების დარგი მეოცე საუკუნეში გაჩნდა და მასში ხდება ლიტერატურის, თეატრის, სახვითი ხელოვნებისა და მუსიკის სინთეზი მისთვის დამახასიათებელი გამოხატვის საშუალებებით. კინოხელოვნება ხელს უწყობს ადამიანის იდეურ-პოლიტიკურსა და მორალურ - ზნეობრივ აღზრდას, მისი გონებრივი ჰორიზონტის გაფართოებას, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებასა და დახვეწას.
ქართული კინოს 110 წლიანი ისტორიის მანძილზე კინოსტუდია ქართული ფილმის ბაზაზე შექმნილია 900-მდე სრულმეტრაჟიანი მხატვრული, სატელევიზიო და მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 1600-მდე დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმი და 500-მდე ანიმაციური და თოჯინური ფილმი. ქართულ კინოში დასაბამიდან დღემდე მოღვაწეობდნენ მსოფლიოში აღიარებული კინემატოგრაფისტები, როგორიცაა ალექსანდრე წუწუნავა, ალექსანდრე დიღმელოვი (დიღმელაშვილი), კოტე მარჯანიშვილი, ვლადიმერ ბარსკი, ივანე პერესტიანი, მიხეილ კალატოზოვი (კალატოზიშვილი), ნიკოლოზ შენგელაია, მიხეილ ჭიაურელი, დავით რონდელი, ვახტანგ ტაბლიაშვილი, ნიკოლოზ სანიშვილი, რეზო ჩხეიძე, ოთარ იოსელიანი, ელდარ შენგელაია, ლანა ღოღობერიძე, სერგო ფარაჯანოვი, გიორგი შენგელაია, მერაბ კოკოჩაშვილი, თენგიზ აბულაძე, ირაკლი კვირიკაძე, ნანა ჯორჯაძე, თემურ ბაბლუანი და სხვები.
ქართულმა კინომ თავისი არსებობის მანძილზე აღიარება მოიპოვა მსოფლიოს თითქმის ყველა კინოფესტივალსა, თუ ფორუმზე: კანი, ბერლინალე, ვენეცია, რომი და სხვანი. მისი მდიდარი ისტორია და გამოცდილება ის კაპიტალია, რომელმაც მაყურებელს ქართული კინოს მიმართ მაღალი მოლოდინი და ინტერესი შეუნარჩუნა, ამიტომაც აქტივის სათანადოდ გამოყენება ქართული კინოთი დაინტერესების უფრო მძლავრ საფუძვლად შეიძლება იქცეს.
ბათუმი ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებით გამორჩეული ქალაქია. ქართული კინოს ისტორიაც ბათუმთანაა დაკავშირებული. გასული საუკუნის ოციან წლებში, როდესაც ამოქმედდა ქართული კინოწარმოება, ეს პერიოდი ბათუმს უკავშირდება. ქალაქში არაერთი ფილმია გადაღებული. ბათუმის არქიტექტურა, რომელიც გამორჩეულია მხატვრულ სტილთა მრავალფეროვნებით, ბაროკული, რენესანსული თუ გოთური მოტივები, რასაც ენაცვლება რომანტიზმი, ადრეული და გვიანი მოდერნი საინტერესო და ხელსაყრელია ფილმების გადასაღებად.
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, მხარს დაუჭერს ბათუმის როგორც კინოგადაღებისთვის მიმზიდველი ლოკაციის ცნობადობის ამაღლებას. რაც საბოლოო ჯამში, არამხოლოდ კინოს განავითარებას გამოიწვევს, არამედ ხელს შეუწყობს მთელი რიგი მომიჯნავე სფეროების (ტურიზმის განვითარება, სასტუმროების ინფრასტრუქტურის განვითარება, დასაქმება და ა.შ.) განვითარებასა და ქალაქის ცნობადობის გაზრდასა და პოპულარიზაციას.

ქალაქ ბათუმში, ბოლო წლების განმავლობაში, არაერთი ფესტივალი ჩატარდა, რომელთა მხარდამჭერი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაა:
ბათუმში, 2006 წელს, კინემატოგრაფიის პოპულარიზაციისთვის, ქართველ და უცხოელ კინემატოგაფებს შორის კულტურული ურთიერთობების განვითარებისა და შემოქმედებითი გამოცდილების გაცვლის მიზნით დაარსდა საერთაშორისო კინოფესტივალი, რომლის ოფიციალური ორგანიზატორია ბათუმის ხელოვანთა სახლი არგანი".
ფესტივალი საავტორო კინოზეა ორიენტირებული.
2007 წელს დაარსდა ანიმანაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი", რომელიც ყოველწლიურად ოქტომბრის თვეში ქ.ბათუმში იმართება. ფესტივალი დაარსდა ანიმაციის განვითარების ფონდის მიერ, რომელიც არაკომერციული ორგანიზაციაა. მის მთავარ მიზანს წარმოადგენს ანიმაციური ფილმწარმოების განვითარება საქართველოში და შემდეგ მისი ინტეგრაცია მსოფლიოში.
გასულ საუკუნეში ქალაქს რამდენიმე კონოთატრი ემსახურებოდა. დღეს ბათუმში მხოლოდ ერთი კონოთეატრი ფუნქციონირებს, მაშინ როცა მოთხოვნა კონითეატრზე საკმაოდ მაღალია.
საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ტ" ქვეპუნქტის თანახმად: მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილებაა კინოთეატრების ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ახალი ობიექტების მშენებლობა.
აღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს ქალაქში კინოჩვენებისთვის მულტიფუნქციური კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეების და/ან შესაბამისი კინოდარბაზების, კინოჩვენების ალტერნატიული საშუალებების განვითარებას, ხელშეწყობას, ფუნქციონირებასა და მშენებლობას.

აუდიო-ვიზუალურ ხელოვნების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება. ბათუმში ამ მიმართულებით ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი ფუნქციონირებს, სადაც სახვითი, სასცენო და კინო–ტელე ხელოვნების ფაკულტეტი შეიქმნა 2009 წელს, ყოფილი ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის სახვითი ხელოვნების, დრამის, კინო-ტელე ხელოვნებისა და ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტების ბაზაზე. ფაკულტეტი აერთიანებს 3 დეპარტამენტს და 2 სტრუქტურულ ერთეულს, კერძოდ: სახვითი ხელოვნების, სასცენო ხელოვნებისა და კინო–ტელეხელოვნების დეპარტამენტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო თეატრს. ფაკულტეტი ახორციელებს შემდეგ საბაკალავრო და დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამებს: ფერწერა, ინტერიერის დიზაინი, ტანსაცმლის დიზაინი, ტექსტილის დიზაინი, ხისა და ლითონის დიზაინი, ტელერეჟისურა, ტელეოპერატურა, ტელერეპორტიორი, დრამისა და თოჯინების თეატრის სამსახიობო, პანტომიმის თეატრის სამსახიობო, დრამატული თეატრის რეჟისურა. ასევე, სამაგისტრო პროგრამებს: მხატვრული ტელეფილმის რეჟისურა, დრამის რეჟისურა, თოჯინების თეატრის რეჟისურა, ტექსტილის დიზაინი. აღნიშნული პროგრამები ეროვნული განათლების ტრადიციებზე დაყრდნობით, ინტეგრირებულია ბოლონიის პროცესის თანამედროვე ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან.

სახვითი, სასცენო და კინო–ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე პედაგოგებად მოწვეული არიან ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები, ცნობილი რეჟისორები, მსახიობები, მხატვრები.

ფაკულტეტზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. ძირითადი ნაწილი დასაქმებულია სპეციალობის მიხედვით. მათგან ბევრი დღეისათვის წარმატებული მსახიობი, რეჟისორი, ტელე–წამყვანი, ჟურნალისტი და მხატვარ–დიზაინერია, ზოგიც ასევე წარმატებით მოღვაწეობს საქართველოს ფარგლებს გარეთ–ლონდონში, პარიზში, გერმანიაში, ესპანეთში, რუსეთში...

სახვითი, სასცენო და კინო–ტელე ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტები რეგულარულად აწყობენ საკუთარი ნამუშევრების გამოფენებს, სპექტაკლებისა და კინოფილმების ჩვენებას, მონაწილეობენ და ხშირად იმარჯვებენ საერთაშორისო კონკურსებში.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია აუდიოვიზიალური ხელოვნების სფეროში მოქმედ სხვადასხვა ორგანიზაციებთან ერთად თანამშრომლობით ხელს შუწყობს სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელთა მიზანი ქალაქში აუდიოვიზუალური ხელოვნების ხელშეწყობა და სტუდენტების, ახალგაზრდების და კინო და ფოტოხელოვანების პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლებაა. პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება აუდიოვიზუალური ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებებში კონკურსების მხარდაჭერა, ფილმების თანადაფინანსება, მასტერკლასების, ვორკშოფების, ტრენინგების,

ფესტივალებისა და ღია და დახურულ სივრცეებში კინოჩვენებების მხარდაჭერა, ფოტოგამოფენების ხელშეწყობა, კატალოგების გამოცემა, ახალგაზრდების საქართველოში და საზღვარგარეთ სწავლის სტიმულირება; მსოფლიო კინოს ისტორიის საუკეთესო ნიმუშებისა და თანამედროვე მსოფლიო კინოში მიმდინარე პროცესების გაცნობის გზით, მოზარდებში ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, ესთეტიკური აღქმის უნარების განვითარება, კინოგანათლების პოპულარიზაცია და ახალ თაობაში კინოს სფეროში ცნობიერების ამაღლება და სხვ.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ აუდიოვიზუალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან (მაგ.: კინოთეატრი, საგამოფენო სივრცეები, სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი და სხვ.) თანამშრომლობა (მათ შორის დაწესებულებების/ორგანიზაციების საჭიროებების განსაზღვრის მიზნით);
- ✓ აუდიოვიზუალური ხელოვნების განვითარებისა და კინო და ფოტოხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების (მაგ.: საგანმანათლებლო პროექტები, შემოქმედებითი საღამოები, კონკურსები, გამოფენები, ფესტივალები, ღია და დახურულ სივრცეებში კინოჩვენებები და ა.შ.) მხარდაჭერა;
- ✓ საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, კონკურსებში, კონფერენციებში და სხვ. ბათუმელ ხელოვანთა მონაწილეობის მხარდაჭერა;
- ✓ კატალოგების გამოცემის ხელშეწყობა;
- ✓ კინოხელოვანთა და ფოტოხელოვანთა გადამზადების ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ✓ ბათუმის, როგორც კინოგადაღებისთვის მიმზიდველი ქალაქის პოპულარიზაცია და საერთაშორისო კოპროდუქციების ხელშეწყობა;
- ✓ აუდიოვიზუალური ხელოვნების მიმარულებით ახალგაზრდების საქართველოში და საზღვარგარეთ სწავლის სტიმულირება;
- ✓ კინოჩვენებისთვის მულტიფუნქციური კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეების და/ან შესაბამისი კინოდარბაზების, კინოჩვენების ალტერნატიული საშუალებების განვითარების ხელშეწყობა;
- ✓ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი სასწავლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	აუდიოვიზუალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა დაწესებულებებთა ნ/ორგანიზაციებთა ნ თანამშრომლობა	თანამშრომლობ ის ნაკლები ინტერესი	3	3	9	საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება და ინფორმირებულობ ის ამაღლება	2	3	6

2.	აუდიოვიზუალური ხელოვნების განვითარებისა და კინო და ფოტოხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6
		პროექტების ორგანიზების დაბალი ხარისხი	3	4	12	რეგულარული მონიტორინგის წარმოება	2	3	6
3.	საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, კონკურსებში, კონფერენციებში და სხვ. ბათუმელ ხელოვანთა მონაწილეობის მხარდაჭერა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6
4.	კატალოგების გამოცემის ხელშეწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6
		მომწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით ან დაბალი ხარისით შესრულება	3	4	12	ვალდბულების შესრულებაზე მონიტორინგის წარმოება	2	3	6
5.	კინოხელოვანთა და ფოტოხელოვანთა გადამზადების ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6
6.	ბათუმის, როგორც კინოგადაღებისთვის მიმზიდველი ქალაქის პოპულარიზაცია და საერთაშორისო კოპროდუქციების ხელშეწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6

7.	აუდიოვიზუალური ხელოვნების მიმარულებით ახალგაზრდების საქართველოში და საზღვარგარეთ სწავლის სტიმულირება	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6
8.	კინოჩვენებისთვის მულტიფუნქციური კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეების და/ან შესაბამისი კინოდარბაზების, კინოჩვენების ალტერნატიული საშუალებების განვითარების ხელშეწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6
9.	სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი სასწავლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- ❖ კინოთეატრები;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- ❖ საგამოფენო დარბაზები;
- ❖ კინოთეატრები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019-2021	აუდიოვიზუალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

	მიზნით, სხვადასხვა დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა												
2019-2021	აუდიოვიზუალური ხელოვნების განვითარებისა და კინო და ფოტოხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, კონკურსებში, კონფერენციებში და სხვ. ბათუმელ ხელოვანთა მონაწილეობის მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020-2021	კატალოგების გამოცემის ხელშეწყობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020-2021	კინოხელოვანთა და ფოტოხელოვანთა გადამზადების ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2021	ბათუმის, როგორც კინოგადაღებისთვის მიმზიდველი ქალაქის პოპულარიზაცია და საერთაშორისო კოპროდუქციების ხელშეწყობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019 - 2021	აუდიოვიზუალური ხელოვნების მიმარულებით ახალგაზრდების საქართველოში და საზღვარგარეთ სწავლის სტიმულირება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2021	კინოჩვენებისთვის მულტიფუნქციური კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეების და/ან შესაბამისი კინოდარბაზების, კინოჩვენების ალტერნატიული საშუალებების განვითარების ხელშეწყობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020-2021	სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი სასწავლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- აუდიოვიზუალური ხელოვნების განვითარებისა და კინო და ფოტოხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით, ჩატარებული პროექტებისა და ღონისძიებების რაოდენობა;
- ჩატარებულ პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა;
- საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, კონკურსებში, კონფერენციებში და სხვ. მონაწილე ბათუმელ ხელოვანთა რაოდენობა;
- გამოცემული კატალოგების რაოდენოაბა;

- კინოხელოვანთა და ფოტოხელოვანთა გადამზადების მიზნით განხორციელებულ პროექტთა რაოდენობა;
- კინოხელოვანთა და ფოტოხელოვანთა გადამზადების მიზნით განხორციელებულ პროექტებში მონაწილე პირთა რაოდენობა;
- პროგრამის ფარგლებში გადაღებულ ფილმების რაოდენობა;
- დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა;
- მულტიფუნქციური კულტურულ-საგანმანათლებლო სივრცეების და/ან შესაბამისი კინოდარბაზების, კინოჩვენების ალტერნატიული საშუალებების რაოდენობა;
- სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების მიზნით დაფინანსებულ პროქტთა რაოდენობა.

2.4. სახვითი ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია სახვითი ხელოვნების განვითარება და პოპულარიზაცია, ქალაქის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ხელოვანთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სახვითი ხელოვნების სფეროში ინოვაციური, კრეატიული პროექტების განხორციელება.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად განვითარებული და პოპულარიზებულია სახვითი ხელოვნება, გამრავალფეროვნებულია ქალაქის კულტურული ცხოვრება, განვითარებულია ბათუმელ ხელოვანთა პროფესიული უნარჩვევები, ხელშეწყობილია სახვითი ხელოვნების სფეროში ინოვაციური, კრეატიული პროექტები.

პროგრამის აღწერა

მხატვრობა სახვითი ხელოვნების უძველესი დარგია. საუკუნეების მანძილზე შექმნილი და ჩვენი თვითმყოფადი კულტურის ერთ-ერთი ყველაზე უკეთ წარმომჩენი სწორედ ქართული მხატვრობის ისტორიაა. ძველი ქართული ხელოვნება ადგილობრივი ტრადიციებისა და დღევანდელი ევროპისა თუ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან მჭიდრო ურთიერთობის საფუძველზე ვითარდებოდა, რის შედეგადაც ხელოვნების სხვავდასხვა დარგის მეტად საინტერესო ნიმუშები შეიქმნა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა ქართული მხატვრობა.

მხატვართა შემოქმედება ინდივიდუალური ხელწერით, მრავალფეროვანი სტილითა და საინტერესო მხატვრული მიგნებებით გამოირჩევა. მხატვრები ცდილობენ ახლებურად დაგვანახონ გარესამყარო და ასევე საკუთარი დამოკიდებულება ამ სამყაროს მიმართ. ეს სურვილია, ხელოვნებაში შემოქმედებით მრავალფეროვნებას რომ განსაზღვრავს სხვაგან თუ საქართველოში. თანამედროვე ქალაქი წარმოუდგენელია ქანდაკების გარეშე, სკულპტურული კომპოზიციები არა მხოლოდ ესთეტიკურ, არამედ სოციალურ შინაარსსაც მატებენ სივრცეს, ქალაქს, მხარეს. ქვეყნის, ქალაქის ან თუნდაც ეპოქის სახეს საბოლოოდ მაინც კულტურა და ხელოვნების ძეგლები ქმნიან.

ახალგაზრდა თაობის სახვით ხელოვნებაში ჩართვისა და სახვითი ხელოვნების განვითარების მიზნით ქალაქში ფუნქციონირებს:
1. ა(ა)იპ ბათუმის ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლა. 1911 წელს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულმა, დიმიტრი პახომოვმა, ბათუმში მოღვაწე მხატვრები შემოიკრიბა და დააარსა სამხატვრო სტუდია, რომელიც 1918 წელს კერძო სასწავლებლად ჩამოყალიბდა. მოგვიანებით, 1936 წელს სამხატვრო სტუდია სახელმწიფო სასწავლებლად გადაკეთდა.
1942 წელს პედაგოგებისა და სტუდენტების მეორე მსოფლიო ომში გაწვევის გამო სასწავლებელმა შეწყვიტა ფუნქციონირება. მისი აღდგენა 1970 წელს მოხერხდა და მას ქართველი მხატვრის - ნიკოლოზ კანდელაკის სახელი მიენიჭა. 2010 წლიდან სასწავლებელი გამოყენებითი ხელოვნების სამხატვრო სკოლად გადაკეთდა. სასწავლებელმა თავისი არსებობის მანძილზე აღზარდა 600-ზე მეტი ხატვისა და ხაზვის მასწავლებელი და სხვა კვალიფიციური კადრი. პერიოდულად ეწყობა სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენები. სასწავლებლის კურსდამთავრებულები დღეს წარმატებით მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ისე - უცხოეთში. მრავალი მათგანი აჭარის მაღალმთიანი რაიონების სკოლებში სახვითი ხელოვნების მასწავლებლად და უმაღლეს სასწავლებელში პროფესორ-მასწავლებლებადაა დასაქმებული.
სასწავლებელი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოვებულია საპატიო სიგელებითა და მედლებით.
2. ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, რომელიც ხელოვნების სხვა მიმართულებებთან ერთად ახორციელებს სწავლებას სახვითი ხელოვნების მიმართულებითაც. უნივერსიტეტში სწავლება ორსაფეხურიანია: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა. მოქმედებს დიპლომირებული სპეციალისტის რამდენიმე საგანმანათლებლო პროგრამა და პროფესიული სწავლების IV და V საფეხურის პროგრამები. საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებენ ქ. ბათუმში მოღვაწე

ხელოვნების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მოწვეული პროფესორები. ისინი ეწევიან აქტიურ პედაგოგიურ, პროფესიულ-საშემსრულებლო და სამეცნიერო მოღვაწეობას. ხელოვნების უნივერსიტეტს მნიშვნელოვანი მისია აკისრია ქალაქისა და ქვეყნის წინაშე - აღზარდოს დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შემოქმედებით წვლილს შეიტანენ ეროვნული კულტურის, ტრადიციებისა და ფასეულობების განვითარებაში.

დღეს, როგორც არასდორს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ხელოვნების ნიმუშების სიახლესა და ორიგინალურობას. ხელოვანები განუწყვეტლივ ცდილობენ გააფართოვონ შემოქმედების ფარგლები.

ბათუმში სხვადასხვა თაობის მხატვრები მოღვაწეობენ: ვახტანგ ბესელია, კაკო ძნელაძე, გურამ ფუტკარაძე, ნინო ნიჟარაძე, ნოდარ შავაძე, ჯემალ გორგილაძე, ზურაბ ხაბაძე, სერგო გოგოლაძე, ლადო შარაშიძე, მალხაზ კოჩალიძე, გელა გორგილაძე, გელა მესხი, ლუკა ბესელია, მაია ჭყონია, ირინა ტორონჯაძე, დიანა თალაკვაძე, ბექა ბოლქვაძე, აკაკი ჯაში, სპარტაკ კუდბა, გიორგი ბოლქვაძე, მამუკა მიხელაშვილი, ნიკა ბესელია, თამთა დარჩია, რაულ ხალვაში, ზაირა ნადირაშვილი, ნინო გოგოლიშვილი, ირმა სურმანიძე და სხვ.

ბათუმელი მხატვრები საზღვარგარეთ აწყობენ პერსონალურ გამოგამოფენებს, ესწრებიან ვორკშოფებს, ხელოვნებისა და მხატვართა საერთაშორისო სიმპოზიუმებს, ეწყობა ჯგუფური გამოფენები, მხატვარ ქალთა საერთაშორისო პლენერი და სხვ.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, 2010-2015 წლებში „ხელოვანთა ხელშეწყობის“ პროგრამით განხორციელდა ბათუმელ მხატვრთა საქართველოში გასვლითი გამოფენების დაფინანსება, ბათუმელ და უცხოელ მხატვართა ერთობლივი პლენერი, მარბელას საერთაშორისო ფესტივალი. 2018 წელს კი ნინო გოგოლიშვილმა, სერგო გოგოლაძემ, გალაქტიონ მესხმა, მაია ჭყონიამ, ვლადიმერ შარაშიძემ საზღვარგარეთ საერთაშორისო პლენერებში მიიღეს მონაწილეობა.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების კულტურის, სპორტისა და ხალგაზრდობის სამსახური არერთხელ შეხვდა ბათუმში მოქმედ მხატვრებს, ამ სფეროში არსებული პრობლების გაანალიზების თვალსაზრისით. ბათუმელი მხატვრები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ქალაქს, რომელსაც ტურისტულ სეზონზე უამრავი უცხოელი სტუმრობს, არ გააჩნია გალერეა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ღირსეულად გამოფენილიყო ადგილობრივ მხატვართა ნახატები.

კულტურის პოლიტიკის დოკუმენტში „კულტურის სტრატეგია 2025“ ვკითხულობთ: ერთ - ერთი ყველაზე დიდი გავლენა ტურიზმის განვითარებაზე კულტურის სექტორს გააჩნია. კულტურული ტურიზმი, ეკონიმიკის ამოქმედებისა და განვითარების მძლავრი კატალიზატორია. ის ხელს უწყობს ქვეყნის ცნობადობის გაზრდას და ინვესტიციების მოზიდვას. მდგრადი ტურიზმის განვითარება, დიდწილად, დამოკიდებულია კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობასა და შემოქმედებით ინდუსტრიებზე.
ბათუმელ მხატვართა ნამუშევრების წარმოჩენის, სახვითი ხელოვნების განვითარებისა და ხელოვანთა ადგილობრივი და საერთაშორისო პოპულარიზაციის მიზნით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, უფლებამოსილების ფარგლებში, მხარს დაუჭერს შესაბამისი მულტიფუნქციური კულტურის ინფრასტრუქტურის - გალერეის შექმნას, სახვითი ხელოვნების კერების განვითარებას, პერიოდული ღონისძიებების ჩატარებას, საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის ხელშეწყობას, ხელოვანთა წახალისების მიზნით თემატური, ინოვაციური, კრეატიული პროექტების, კონკურსების მხარდაჭერას, ბეჭდვითი, ვიზუალური მასალების მომზადება/გამოცემას და სახვითი ხელოვნების მხარდასაჭერად სხვა აქტივობების განხორციელებას.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ სახვითი ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან (მაგ.: სამხატვრო სკოლა, საგამოფენო სივრცეები, სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი და სხვ.) თანამშრომლობა (მათ შორის ორგანიზაციების საჭიროებების განსაზღვრის მიზნით);

- ✓ სახვითი ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების (მაგ.: საგანმანათლებლო პროექტები, შემოქმედებითი საღამოები, კონკურსები, გამოფენები, ფესტივალები, პლენერები და ა.შ.) მხარდაჭერა;
- ✓ საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, კონკურსებში, კონფერენციებში და სხვ. ბათუმელ ხელოვანთა მონაწილეობის მხარდაჭერა;
- ✓ კატალოგების გამოცემის ხელშეწყობა;
- ✓ მხატვართა გადამზადების ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ✓ სახვითი ხელოვნების მიმარულებით ახალგაზრდების საქართველოში და საზღვარგარეთ სწავლის სტიმულირება;
- ✓ მულტიფუნქცირი კულტურის ინფრასტრუქტურის - გალერეის შექმნის ხელშეწყობა;
- ✓ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი სასწავლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	სახვითი ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	თანამშრომლობის ნაკლები ინტერესი	3	3	9	საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება და ინფორმირებულობის ამაღლება	2	3	6
2.	სახვითი ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6
		პროექტების ორგანიზების დაბალი ხარისხი	3	4	12	რეგულარული მონიტორინგის წარმოება	2	3	6
3.	საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, კონკურსებში, კონფერენციებში და სხვ. ბათუმელ ხელოვანთა მონაწილეობის მხარდაჭერა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6

4.	კატალოგების გამოცემის ხელშეწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6
		მომწოდებლის მხრიდან ვალდებულებსი დაგვიანებით ან უხარისხოდ შესრულება	3	4	12	ვალდებულების შსრულებაზე მონიტორინგი	2	3	6
5.	მხატვართა გადამზადების ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6
6.	სახვითი ხელოვნების მიმარულებით ახალგაზრდების საქართველოში და საზღვარგარეთ სწავლის სტიმულირება	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6
7.	მულტიფუნქციური კულტურის ინფრასტრუქტურის - გალერეის შექმნის ხელშეწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6
8.	სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი სასწავლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ სამხატვრო სკოლები;
- ❖ სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- ❖ საგამოფენო დარბაზები;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ სამხატვრო სკოლები;
- ❖ სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- ❖ საგამოფენო დარბაზები;
- ❖ რეგიონალური ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019-2021	სახვითი ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	სახვითი ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, კონკურსებში, კონფერენციებში და სხვ. ბათუმელ ხელოვანთა მონაწილეობის მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020-2021	კატალოგების გამოცემის ხელშეწყობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020-2021	მხატვართა გადამზადების ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019-2021	სახვითი ხელოვნების მიმარულებით ახალგაზრდების საქართველოში და საზღვარგარეთ სწავლის სტიმულირება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2021	მულტიფუნქციური კულტურის ინფრასტრუქტურის - გალერეის შექმნის ხელშეწყობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020-2021	სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი სასწავლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ჩატარებული გამოფენების, პლენერების, კონკურსების, ფესტივალების რაოდენობა;
- გამოფენებში, პლენერებში, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილე პირთა რაოდენობა;
- ჩატარებული მასტერკლასების, ვორკშოფების, ტრენინგების რაოდენობა;
- მასტერკლასებში, ვორკშოფებსა და ტრენინგებში მონაწილე პირთა რადენობა;
- გამოცემული კატალოგების რაოდენოაბა;

- დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა;
- ახალი მულტიფუნქციური კულტურის ინფრასტრუქტურა - გალერეა;
- სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების მიზნით დაფინანსებულ პროექტთა რაოდენობა.

2.5. თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანაია თეატრალური ხელოვნების განვითარება და პოპულარიზაცია, ქალაქში კულტურული ცხოვრების გააქტიურება, ახალგაზრდა, ნიჭიერ ხელოვანთა გამოვლენა და მათი რაელიზების ხელშეწყობა, შემოქმედთა ახალი თაობის, ახალი იდეების მხარდაჭერა, თეატრალური ხელოვნების სფეროში კრეატიული პროექტების განხორციელება.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად განვითარებული და პოპულარიზებულია თეატრალური ხელოვნება, გამრავალფეროვნებულია ქალაქის კულტურული ცხოვრება, ხელშეწყობილია ახალგაზრდა, ნიჭიერ ხელოვანთა გამოვლენა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელება.

პროგრამის აღწერა

თეატრი, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგები, მჭიდროდაა დაკავშირებული ხალხის ცხოვრებას-თან, მის ისტორიასთან და კულტურასთან. ის ოდითგანვე აყალიბებდა ზოგადად ადამიანთა ცნობიერებას, ანვითარებდა და აფართოებდა საზოგადოების როგორც სულიერ ასევე პოლიტიკურ თვალსაწიერს. თეატრი მხატვრულ წარმატებას მხოლოდ მაშინ აღწევს, როდესაც ეპოქალური იდეებით არის გამსჭვალული და სიღრმისეულად ასახავს ადამიანის შინაგან სამყაროს.

აჭარა ერთ-ერთი უძველესი თეატრალურ-სანახაობითი კულტურის რეგიონია საქართველოში. ბათუმთან ახლოს აღმართულია ციხე-სიმაგრე გონიო, ასპარი ანუ ,,აპსარუტინი", რომელიც იყო კოლხიდის ერთი უძველესი ქალაქთაგანი ჩვენს ერაში" (ს. ჯანაშია). მეექვსე საუკუნეში თეატრის მხოლოდ ნანგრევები უხილავს ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოფი კესარიელს, რომლის ცნობით გონიო ოდესღაც ,,შემკული იყო თეატრითა და იპოდრომით".

ბათუმში პირველი ქართული წარმოდგენა 1879 წლის 8 (20) ივლისს ადგილობრივმა სცენისმოყვარეებმა გამართეს. ამით საფუძველი ჩაეყარა ქართულ თეატრს აჭარაში. წარმოდგენის ინიციატორი იყო ბათუმის პოლიცმაისტერის მეუღლე ქეთევან ჟურული. სცენისმოყვარეებმა წარმოადგინეს ზ.ანტონოვის კომედია „განა ბიძიამ ცოლი შეირთო?".

თეატრის ახალი შენობა ბათუმში 1952 წლის 19 მარტს გაიხსნა თეატრი აშენდა ცნობილი მოსკოველი არქიტექტორის ტეპლიცკის პროექტით. 1959 წელს ბათუმის თეატრს მიენიჭა ილია ჭავჭავაძის სახელი. ორმოცდაათიან წლებში ბათუმის თეატრში მოღვაწეობდნენ ცნობილი რეჟისორები: დოდო ალექსიძე, გიორგი მდივანი, შალვა ინასარიძე, ალექსანდრე ჩხარტიშვილი. ორმოცდაათიან წლებში ბათუმის თეატრს დროთა განმავლობაში ახალგაზრდა მსახიობები შეემატნენ: მიხეილ ნაპირელი, ლუბა კობეშავიძე, თამარ სულხანიშვილი, ნათელა წერეთელი, იური ცანავა, მანუჩარ შერვაშიძე, ნინო საკანდელიძე და სხვები. წლების განმავლობაში ბათუმის თეატრის შემოქმედებითი ჯგუფი ივსებოდა ახალგაზრდა რეჟისორებითა და მსახიობებით, რომლებმაც შემდგომში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ბათუმის თეატრალური ხელოვნების განვითარებაში. ესენი იყვნენ: რეჟისორები: გიზო ჟორდანია, გოგი ქავთარაძე, ენვერ ჩაიძე, თემო აბაშიძე, გურამ აბესაძე, ლევან მირცხულავა, დათო ხინიკაძე; მსახიობები: ლევან ღლონტი, ამირან ტაკიძე, ნიაზ მესხიძე, ნუნუ ხინიკაძე, ბერდია ინწკირველი, სერგო ბაზიაშვილი, სერგო კუნჭულია, ცირა აბზიანიძე, ლუიზა ჯიბლაძე, ავთო ქარჩავა, კობა კობალაძე, ბიძინა მიქაუტაძე, ლია აბულაძე, ნატო გოგიტაური და სხვები; რეჟისორები:ზაზა სიხარულიძე, მერაბ ლებანიძე, ანდრო ენუქიძე და სხვები.

2005 წლიდან თეატრის შემოქმედებითი საქმიანობა რადიკალურად შეიცვალა რობერტ სტურუა სამხატვრო კონსულტანტად, ხოლო გიორგი თავაძე სამხატვრო ხელმძღვანელად დაინიშნა. რობერტ სტურუას მიერ დადგმული დ. კლდიაშვილის ,,დარისპანის გასაჭირი" თეატრის განახლების საფუძვლად იქცა, ხოლო გ. თავაძის სპექტაკლებმა - ლ. ბუღაძის ,,ნუგზარი და მეფისტოფელი", ი. სამსონაძის

„საღამოს ბაღში, როგორც ფერად სიზმარში“, კ. გოლდონის „ორი ბატონის მსახური“, ი. სამსონაძის „ბანანისა და კომშის პუდინგი კონიაკითა და რომით“ და მის მიერ განხორციელებულმა სხვა სპექტაკლებმა თეატრს საერთაშორისო აღიარება მოუპოვა. თეატრი გახდა ევროპის თეატრების არაფორმალური ორგანიზაციის წევრი. 2006 წლიდან თეატრმა მონაწილეობა მიიღო არაერთ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში, რომელთა შორის აღსანიშნავია მიხეილ თუმანიშვილის სახელობის საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი“ (2006 წელი), კულტურის საერთაშორისო ბაზრობა „კავკასია 2007“ (2007 წელი), ლვოვის საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს ლომი“ (2008 წელი), ტრაპიზონის მე-10 საერთაშორისო ფესტივალი (2009 წელი), ეჟენ იონესკოს სახელობის კიშინიოვის საერთაშორისო ბიენალიე (2010 წელი), თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი (2010 წელი). 2017 წელს თეატრს ჰქონდა ყველაზე მასშტაბური გასტროლი თეატრის ისტორიაში: ქ. პანევეჟიში (ლიტვა) მილტინისის სახელმწიფო თეატრი; ქ. ლეგნიცა (პოლონეთი) მოდეჟსკას სახელმწიფო თეატრი; ქ. ვროცლავი (პოლონეთი) პოლსკის სახელმწიფო თეატრი; ქ. ვალბჟიხი (პოლონეთი) იეჟი შანიავსკოვის სახელმწიფო თეატრი; ქ. ელენა გურას (პოლონეთი) ციპრიანა ნორვიდას სახელმწიფო თეატრი.

2015 წელი თეატრის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი თარიღია; ერთის მხივ თეატრის ძირითად შენობას უტარდება კაპიტალური რემონტი, რომელიც დაარსების დღიდან არ ჩატარებია და მეორეს მხრივ რემონტის პარალელურად ბათუმში იხსნება ახალი სივრცე, მცირე დარბაზი „ახალი სცენის“ სახელით. ძირითადი შენობის რემონტის მსვლეობისას ყველა სპექტაკლი სწორედ ამ სივრცეში განხორციელდა. ქალაქში შეიქმნა ექსპერიმენტული სივრცე, სადაც საშუალება აქვს სხვადასხვა თაობის რეჟისორებს თუ მსახიობებს გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები. 2018 წლის შემოდგომაზე საზეიმოდ გაიხსნება ბათუმის დრამატული თეატრის ძირითადი შენობა, რაც თეატრის მესვეურებს საშუალებას მისცემს უფრო თანადროულად, მრავალმხრივად საინტერესოდ წარსდგენ მაყურებლის წინაშე.

დღესდღეობით ბათუმში ფუნქციონირებს დრამატული, მუსიკალური და თოჯინური თეატრები. სცენის აღიარებულ ოსტატებთან ერთად მოღვაწეობენ მსახიობების, რეჟისორების, დრამატურგებისა და სცენოგრაფების ახალგაზრდა თაობები. ამ მიმართულებით გააქტიურებულია საერთაშორისო კონტაქტები. თეატრალური კოლექტივები წარმატებით მონაწილეობენ საერთაშორისო პროექტებში ფესტივალებსა და ფორუმებში. ბათუმს პერიოდულად სტუმრობენ უცხოელი სადადგმო ჯგუფები, გასტროლიორი თეატრები და შემსრულებლები. ბათუმელი რეჟისორები და სცენოგრაფები ინტენსიურად თანმაშრომლობენ მსოფლიოს სახელგანთქმულ თეატრებთან.

ხის უნიკალური საზაფხულო თეატრის შენობა, სადაც წლების განმავლობაში თეატრალური წარმოდგენები და კონცერტები იმართებოდა, 2013 წელს განახლებული სახით დაუბრუნდა ქალაქს. იგი ძველ ადგილზე, უმშვენიერესი ზღვისპირა ბულვარის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. საზაფხულო თეატრი 1 200 მაყურებელს იტევს.

ბათუმში თოჯინების თეატრის არსებობა სათავეს XX საუკუნის 30-იანი წლებიდან იღებს. ასეთი ტიპის თეატრი ,,ტიკინების თეატრის'' სახელწოდებით აჭარაში 1936 წელს გაიხსნა, მანამდე ბათუმში არსებობდა თოჯინების მოყვარულთა თვითმოქმედი თეატრი, რომლის ბაზაზეც ჩამოყალიბდა ბათუმის თოჯინების პროფესიული თეატრი.

ბათუმში, თოჯინების თეატრის დაარსების იდეა მოსკოვში სტალინთან ქართული თეატრის მოღვაწეებათან შეხვედრაზე დაიბადა. ამ დელეგაციაში შედიოდნენ ცნობილი მსახიობი თამარ ჭავჭავაძე და დრამატურგი მიხეილ ნიორაძე, რომლებიც იმ დროს ბათუმის დრამატულ თეატრში მოღვაწეობდნენ. სწორედ, მათ დასვეს საკითხი ბათუმში თოჯინების თეატრის დაარსებისა. მათ გამოსვლას მოჰყვა რეაგირება შესაბამისი ორგანოების მხრიდან და 1936 წლის 20 ივლისს, პირველი სპექტაკლის „კაკოს ოინები“-ს - პრემიერით, საიზეიმო ვითარებაში გაიხსნა ბათუმის თოჯინების თეატრი. (სპექტაკლი განახორციელა ცნობილმა მსახიობმა და რეჟისორმა - გრიგოლ კოსტავამ). ქალაქისთვის უმნიშნელივანეს კულტურულ მოვლენას საზოგადოება დიდი ინტერსით შეხვდა. გაზეთი „საჭოთა აჭარისტანი“ (1936№200) წერდა: „ახლო წარსულში ჩამოყალიებულმა „ტიკინების თეატრმა“ დიდი კულტურულ-თეატრალური მსახურება გაუწია მრავალრიცხოვან მოწაფეობას, მათ შესანიშნავი წარმოდგენა დადგეს, რომელმაც ბავშვებზე საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა.

ბათუმის თეატრის დასი პროფესიონალი ხელოვანებით დაკომპლექტდა. აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ თოჯინებს ადგილზე ამზადებდნენ. ბათუმის სახელმწიფო თეატრში იდგმებოდა როგორც კლასიკოს მწერალთა და დრამატურგთა, ისე თანამედროვე ავტორების პიესები. მნიშვნელოვანი დადგმები იყო: (შ. პეროს „წითელქუდა“, გ. ნახუცრიშვილის „ნაცარქექია“, პოპესკუს „მზის სხივი“, ი.ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი ?!“, ურბანის „ ყველა თაგუნას უყვარს ყველი“, გ. ნახუცრიშვილის „კომბლე ქალაქში“, ხალხური ზღაპრების მიხედვით „წიქარა“. ეგზიუპერის „პატარა უფლისწული“, ვ. ორლოვის „ოქროს წიწილა“, ი. ზლატოვსკის „პინგვინის დაბადების დღე“, თ. მეტრეველის „ბუ და აბლაბუდა“, ბ. აპროლოვის „ჩიმი“ პ. მოისწრაფიშვილის „ზღაპარი გრძელდება“ და სხვ.

ბათუმის თოჯინების თეატრში სხვადასახვა დროს მოღვაწეობდნენ ცნობილი მხატვრები, კომპოზიტორები. თეატრს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: გივი სარჩიმელიძე, თამაზ ბოლქვაძე, ეთერ თავართქილაძე და სხვ.. სწორედ ეთერ თავართქილაძის სახელთან არის დაკავშირებული ამ თეატრში სპექტაკლების ცოცხალ პლანში დადგმა. 1993 წელს ეთერ თავრთქილაძის მიერ დადგმულმა ე. შვარცის „არაუჩვეულებრივმა კონკიამ“ მისცა ბიძგი მსახიობებს ემუშავათ სხვა ჟანრში. რაც შემდგომ წლებში გახდა საფუძველი ბათუმის თოჯინების თეატრის ბაზაზე მოზარდ მაყურებელთა თეატრის დაარსებისა. მოზარდ მაყურებელთა თეატრმა განახორციელა მნიშვნელოვანი დადგმები: ვაჟა ფშაველას „შენ რომ სხვა მოჰკლა, შენც მაგკლვენ“ („ალუდა ქეთელაურისა“ და „სტუმარ-მასპინძლის მიხედვით), თ.ჭილაძის „ბუდე მეცხრე სართულზე“ „ნოეს კიდობანი“ და სხვ.

შენობა, სადაც ამჟამად ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის დასია განთავსებული ერთ-ერთი უძველესი და უნიკალური არქიტექტურული ძეგლია არამხოლოდ ბათუმში, არამედ მთელს საქართველოში. ამის გამო მას მინიჭებული აქვს კულტურის მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის სტატუსი. 2012 წელს შენობას სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა.

2013 წლიდან ბათუმში ფუნქციონირებს ორგანიზაცია „ექსპერიმენტული თეატრი ყველგან“. ორგანიზაციის მისიაა თეატრი იყოს ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია - „თუ მაყურებელი არ მიდის თეატრში, მაშინ თეატრი მიდის მაყურბელთან“. თეატრს არ გააჩნია სტაციონალური თეატრალური სივრცე, ეს არის ექსპერიმენტული თეატრი თავისი ფორმით და იდეით, წარმოდგენები იმართება არა მარტო პროფესიულ სცენებზე, არამედ ქარხნის ძველ ნანგრევებში, სასაწყობე ფართში და სხვა. თეატრში სულ 12 ადამიანია დასაქმებული, რომლებიც თავად ქმნიან სპექტაკლის ატრიბუტიკას და დეკორაციას. თეატრს, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით უკვე რამდენიმე სპექტაკლი აქვს რეპერტუარში: ეჟენ იონესკოს „მელოტი მომღერალი ქალი“ აბსურდული კომედია, უილიამ შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“, შექსპირის „მაკბეტი“, ერიკ–ემანუელ შმიტის „ოსკარი და ვარდისფერი ქალბატონი“, სამუელ მარშაკი „თორმეტი თვე“, ჟან პოლ სარტრის ,,ცხრაკლიტული“, ნანა სეფაშვილის „კონტრაქტი“ და ლი ქიან ფუ „სხვა ცარცის წრე“.
სპექტაკლები იმსახურებენ თეატრის კრიტიკოსთა დადებით შეფასებებს, რაზეც მეტყველებს სპექტაკლების რეცენზიები, თეატრი სპექტაკლით „მელოტი მომღერალი ქალი“ 2013 წლის 23-28 თებერვალს იმყოფებოდა პარიზის ინტერნაციონალურ თეატრალურ ფესტივალზე. ასევე, თეატრს აქვს შემოთავაზებები, ინგლისის, უკრაინის, თურქეთის საბერძნეთის, ბერლინის თეატრალური ფესტივალებიდან, 2018 წლის 16-21 ივნისს ამავე სპექტაკლს ელოდება ვენისის დრამატული თეატრის ფესტივალი და სხვ.
ბალეტის განვითარებისა და საბალეტო ხელოვნების მიმართულებით ახალგაზრდა თაობის აღზრდის მიზნით ბათუმში ფუნქციონირებს საბალეტო ხელოვნების სპეციალური სასწავლო დაწესებულება - ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლა.

ქალაქ ბათუმში საბალეტო ხელოვნების დაფუძნება დაკავშირებულია საქართველოს სახალხო არტისტის ბექარ მონავარდისაშვილის სახელთან, სწორედ მისი თაოსნობით 1993 წელს ჩამოყალიბდა საბალეტო დასი, რომელმაც, რასაკვირველია, მოითხოვა პროფესიული კადრების მომზადება. 1997 წელს ქალაქ ბათუმის მემედ აბაშიძის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტთან დაარსდა საბალეტო სტუდია, 1999 წელს კი სტუდიის საფუძველზე ჩამოყალიბდა ქალაქ ბათუმის კლასიკური ბალეტის

სკოლა. 2012 წლიდან კლასიკური ბალეტის სკოლა დაფუძნდა როგორც „ა(ა)იპ ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის კლასიკური ბალეტის სკოლა“.

დღეისათვის კლასიკური ბალეტის სკოლაში საბალეტო ხელოვნებას ეუფლება 125 მოსწავლე. სკოლაში ფუნქციონირებს ცხრა კლასი და ისწავლება ქართული ცეკვა, თანამედროვე ბალეტი, მსახიობის ოსტატობა, გრიმის ხელოვნება, რითმიკა, მსოფლიო და ქართული თეატრის ისტორია, ქორეოგრაფიული ბალეტის ისტორია და სხვ.

საბალეტო სკოლა აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო საბალეტო ფესტივალ-კონკურსებზე, რომლებიც იმართება როგორც ქვეყნის შიგნით, (ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი) ასევე ქვეყნის გარეთ (ლატვიის რესპუბლიკა, იტალია.). ბათუმის კლასიკური ბალეტის სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობენ ქალაქის მნიშვნელოვან ღონისძიებებში. ბალეტის სკოლა თანამშრომლობს ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელთან, რომელიც გამოიხატება სასწავლებლიდან სპეციალისტების მოწვევით და სხვ.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქში თეატრალური ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის, ასევე კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნების მიზნით, ითანამშრომლებს სხვადასხვა დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან, ხელს შეუწყობს ბათუმში საერთაშორისო თეატრალური ფესტივალებისა და ღია და დახურულ სივრცეებში თეატრალური წარმოდგენების ჩატარებას, ხელოვანთა პროფესიული ზრდის მიზნით მასტერკლასების, ვორკშოფების, ტრენინგების დაფინანსებას, საუკეთესო ახალი პიესის გამოსავლენად კონკურსების ორგანიზებას, თეატრალური ხელოვნების სფეროში კრეატიული პროექტების განხორციელებას და სხვ.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა დაწესებულებებთან/ორგანიზაციებთან (მაგ.: თეატრები, საბალეტო სკოლა, სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი და სხვ.) თანამშრომლობა (მათ შორის დაწესებულებების/ორგანიზაციების საჭიროებების განსაზღვრის მიზნით);
- ✓ თეატრალური ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების (მაგ.: საგანმანათლებლო პროექტები, შემოქმედებითი საღამოები, კონკურსები, ფესტივალები, ღია და დახურულ სივრცეებში თეატრალური წარმოდგენები და ა.შ.) მხარდაჭერა;
- ✓ საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, კონკურსებში, კონფერენციებში და სხვ. თეატრალური დასის/ბათუმელი ხელოვანის მონაწილეობის მხარდაჭერა;
- ✓ ბათუმელ ხელოვანთა საშემსრულებლო ხელოვნების მიმართულებით გადამზადების ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ✓ საშემსრულებლო ხელოვნების მიმარულებით ახალგაზრდების საქართველოში და საზღვარგარეთ სწავლის სტიმულირება;
- ✓ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი სასწავლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა

1.	თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა დაწესებულებებთან/ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	თანამშრომლობის ნაკლები ინტერესი	3	3	9	საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება და ინფორმირებულობის ამაღლება	2	3	6
2.	თეატრალური ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6
		პროექტების ორგანიზების დაბალი ხარისხი	3	4	12	რეგულარული მონიტორინგის წარმოება	2	3	6
3.	საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, კონკურსებში, კონფერენციებში და სხვ. თეატრალური დასის/ბათუმელი ხელოვანის მონაწილეობის მხარდაჭერა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6
4.	ბათუმელ ხელოვანთა საშემსრულებლო ხელოვნების მიმართულებით გადამზადების ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6
5.	საშემსრულებლო ხელოვნების მიმარულებით ახალგაზრდების საქართველოში და საზღვარგარეთ სწავლის სტიმულირება	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6
6.	სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების	2	3	6

	სასწავლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა					განხორციელება			

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ბათუმში მოქმედი თეატრები;
- ❖ სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ თეატრალური დაწესებულებები;
- ❖ სსიპ ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- ❖ რეგიონალური ხელისუფლება, ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019 - 2021	თეატრალური ხელოვნების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სხვადასხვა დაწესებულებებთან/ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019 - 2021	თეატრალური ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, პროექტებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019 - 2021	საერთაშორისო ღონისძიებებში, მათ შორის, ფესტივალებში, კონკურსებში, კონფერენციებში და სხვ. თეატრალური დასის/ბათუმელი ხელოვანის მონაწილეობის მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020 - 2021	ბათუმელ ხელოვანთა საშემსრულებლო ხელოვნების მიმართულებით გადამზადების ადგილობრივ და საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019 - 2021	საშემსრულებლო ხელოვნების მიმარულებით ახალგაზრდების საქართველოში და საზღვარგარეთ	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

	სწავლის სტიმულირება												
2020 - 2021	სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაბამისი სასწავლო გარემოს განვითარების ხელშეწყობა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ჩატარებული თეატრალური წარმოდგენების, ფესტივალების, კონკურსების და ა.შ. რაოდენობა;
- თეატრალური წარმოდგენებზე, ფესტივალებზე, კონკურსებზე და ა.შ. დამსწრე პირთა რაოდენობა;
- გასტროლების რაოდენობა;
- მასტერკლასების, ვორკშოფებისა და ტრენგების რაოდენობა;
- მასტერკლასებში, ვორკშოფებსა და ტრენგებშო მონაწილე პირთა რაოდენობა;
- დაფინანსებულ სტუდენტთა რაოდენობა;
- სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარების მიზნით დაფინანსებულ პროქტთა რაოდენობა.

2.6. შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა, საზოგადოების ცნობიერების ამაღლება შემოქმედებითი ინდუსტრიების სფეროზე.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად ვითარდება შემოქმედებითი ინდუსტრიები, გაზრდილია სფეროს ცნობადობა და საგანმათლებლო დონე.

პროგრამის აღწერა

შემოქმედებთი ინდუსტრიები არის სექტორი, რომელიც ახორციელებს მხატვრული და შემოქმედებითი ხასიათის პროდუქტისა და მომსახურების წარმოებასა და გავრცელებას, განურჩევლად მათი კომერციული ღირებულებისა, და სხვადასხვა ინდუსტრიულ საქმიანობას, რომელიც შემოქმედებით და მხატვრულ ძალისხმევას ემყარება, ან/და იყენებს კულტურას, როგორც რესურსს ინდუსტრიული პროდუქტის შექმნაში.

შემოქმედებითი ინდუსტრიები ხელოვნების ტრადიციულ დარგებსა და კულტურულ მემკვიდრეობასთან ერთად მოიცავს საშემსრულებლო ხელოვნებას (თეატრი, ცეკვა, ბალეტი, საოპერო და მუსიკალური წარმოდგენები, ცირკი, ა.შ.), ვიზუალური ხელოვნებას (ფერწერა, სკულპტურა, ფოტოგრაფია, ა.შ.), აუდიოვიზუალური სექტორს (კინო, ვიდეო), ლიტერატურასა და გამომცემლობას (წიგნები, ჟურნალები, პერიოდული გამოცემები, ა.შ.), მუსიკას (ცოცხალი შესრულება, ჩანაწერები), არქიტექტურას (შენობების კონსტრუქცია, ლანდშაფტის არქიტექტურა, ინჟინერია და ა.შ.), მედია-მაუწყებლობას (ტელევიზია, რადიო, გაზეთები, ა.შ.) სხვ.

„შემოქმედებითი ინდუსტრიები მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 4,5% პროცენტს შეადგენს და ყოველწლიური 10%-იანი პროგნოზირებული ზრდა აქვს. ვითარდება უფრო სწრაფად, ვიდრე წარმოებისა და მომსახურების სფეროები. აღნიშნული სექტორი ევროკავშირის ქვეყნებში სამუშაო ადგილების შექმნის საუკეთესო ტემპებს ამჟღავნებს და უზრუნველყოფს სამუშაო ადგილებით ევროკავშირის 8.3 მილიონ მოქალაქეს, რომელთა საერთო შემოსავალი შეადგენს 558 მილიარდ ევროს; უზრუნველყოფს სამუშაო ადგილით უფრო მეტ ახალგაზრდას, ვიდრე ნებისმიერი სხვა სექტორი“ (ინფორმაცია ევროკავშირის და აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამიდან „კულტურა და კრეატიულობა“

2016 წლის 1-ელი ივლისიდან საქართველოში ძალაშია და ამოქმედდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება. ევროპასთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნილ ვალდებულებებში ერთ-ერთი ძირითადი დირექტივა შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობას ეხება (ასოცირების ხელშეკრულების მე-17 თავი, 362-ე მუხლი).

„მსოფლიო მასშტაბით 2,250 მილიარდ დოლარიანი ფულადი კაპიტალითა და 30 მილიონი სამუშაო ადგილით, შემოქმედებითი ინდუსტრიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ როგორც განვითარებული, ისე განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში. [...] ისინი ქმნიან ფასეულობებს, რაც ხელს უწყობს ადამიანზე ორიენტირებულ, ინკლუზიურ და მდგრად განვითარებას.“ ირინა ბოკოვა, იუნესკოს გენერალური დირექტორი (2015).

„ძლიერი შემოქმედებითი ინდუსტრიები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კატალიზატორია. შემოქმედებითი ინდუსტრიები სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკური ზრდისა და ინოვაციის მნიშვნელოვანი წყარო და კონკურენტუნარიანი სფეროა.“ (კულტურის სტრატეგია 2025).

შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარება მრავალმხრივ მნიშვნელოვანია. მას მნიშვნელოვანი წვლილი შეტანა შუძლია სხვადასხვა სფეროს და ზოგადად, ჩვენი ქალაქისა წინსვლაში. შემოქმედებითი ინდუსტრიები გაზრდიან ქალაქის საერთაშორისო იმიჯს და კულტურული ტურიზმის ხელშეწყობის გზით გააძლიერებენ ეკონომიკას. განვითარებული შემოქმედებითი სექტორი უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი პროდუქტების და მომსახურებების წარმოებას, როგორც კულტურის, ისე სხვა

სექტორებში. შესაბამისად, შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობა წარმოადგენს ჩვენი ქალაქის პრიორიტეტს და კულტურის პოლიტიკის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას.

მნიშვნელოვანია, კულტურის, ხელოვნების მუშაკებმა მენეჯერული და მარკეტინგული უნარები ისწავლონ და ბიზნესმოდელების დეტალებში გაერკვნენ. შემოქმედებითი მეწარმეობის უნარების განვითარება საჭიროა შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებისათვის. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია მხარს დაუჭერს სხვადასხვა ინიციატივას, რომელიც მიმართულია შემოქმედებითი ინდუსტრიების შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე და შესაბამისი უნარ-ჩვევების გაღრმავებაზე.

შემოქმედებით ინდუსტრიებზე, როგორც სოციალური და ეკონომიკური განვითარების ფაქტორზე, ცნობიერების ამაღლება უნდა იყოს უწყვეტი პროცესი. ცნობიერების ამაღლებაზე მიმართულ ინიციატივებს აქვს მრავალი მიზანი: შემოქმედებითი მეწარმეობის წახალისება და მეწარმეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, მომხმარებლების და მეწარმეების ინფორმირებულობა, შემოქმედებითი ინდუსტრიების ტრადიციულ ინდუსტრიებთან დაკავშირება და სხვ.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: სახელოვნებო საგანმნათლებლო დაწესებულებებში კულტურის მენეჯმენტის სწავლის/სწავლების სტიმულირება; სტუდენტებისთვის და შემოქმედებით ინდუსტრიაში დასაქმებულებისთვის სამეწარმეო უნარების განვითარების ტრენინგების მხარდაჭერა იდეების ჩამოყალიბების, ბიზნესის წამოწყების, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის და კრედიტების მიღების მეთოდების შესახებ; ისეთი პროექტების მხარდაჭერა, რომელიც ითვალსიწინებს ცნობიერების ამაღლების კამპანიების ორგანიზებას, შემოქმედებითი და ინოვაციური იდეების რეალიზაციის, შემოქმედებითი საქმიანობის გაცოცხლებისა და კულტურის სექტორის წარმომადგენლებს შორის კავშირების განვითარების მიზნით შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის სივრცეების შეთავაზება; შემოქმედებითი ბიზნეს პროექტების მხარდაჭერა და სხვ.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში კულტურის მენეჯმენტის სწავლის/სწავლების სტიმულირება;
- ✓ სტუდენტებისთვის და შემოქმედებით ინდუსტრიაში დასაქმებულებისთვის სამეწარმეო უნარების განვითარების ტრენინგების მხარდაჭერა;
- ✓ ისეთი პროექტების მხარდაჭერა, რომელიც ითვალსიწინებს ცნობიერების ამაღლების კამპანიების ორგანიზებას;
- ✓ შემოქმედებითი ბიზნეს პროექტების მხარდაჭერა;
- ✓ შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის სივრცეების შეთავაზება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	სახელოვნებო საგანმნათლებლო დაწესებულებებში კულტურის მენეჯმენტის სწავლის/სწავლების სტიმულირება	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	3	6

2.	სტუდენტებისთვის და შემოქმედებით ინდუსტრიაში დასაქმებულებისთვის სამეწარმეო უნარების განვითარების ტრენინგების მხარდაჭერა	კულტურის მენეჯმენტის მიმართულებით ტრენერთა ნაკლებობა	3	4	12	შესაბამის დარგის სპეციალისტებთან თანამშრომლობა	2	3	6
3.	ისეთი პროექტების მხარდაჭერა, რომელიც ითვალსიწინებს ცნობიერების ამაღლების კამპანიების ორგანიზებას	პროექტის ორგანიზების დაბალი ხარისხი	3	4	12	პროექტის ორგანიზებაზე მონიტორინგი	2	3	6
4.	შემოქმედებითი ბიზნეს პროექტების მხარდაჭერა	პროექტის ორგანიზების დაბალი ხარისხი	3	4	12	პროექტის ორგანიზებაზე მონიტორინგი	2	3	6
5.	შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის სივრცეების შეთავაზება	სივრცეების დაზიანება და გულგრილად მოპყრობა	3	4	12	ხელშეკრულების თანახმად გამოყოფილი სივრცეების მონიტორინგი და დარღვევების შემთხვევაში შესაბამისი ღონისძიებების გატარება	2	2	4

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორები;
- ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები;
- სტუდენტები და შემოქმედებით ინდუსტრიაში დასაქმებულები;
- ქალაქ ბათუმის მოსახლეობა.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- კულტურული ღონისძიებების ორგანიზატორები;
- ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები;
- სტუდენტები და შემოქმედებით ინდუსტრიაში დასაქმებულები;
- დამსაქმებლები;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- არასამთავრობო ორგანიზაციები.

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019 - 2021	სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში კულტურის მენეჯმენტის სწავლის/სწავლების სტიმულირება			x	x	x				x	x	x	
2020 - 2021	სტუდენტებისთვის და შემოქმედებით ინდუსტრიაში დასაქმებულებისთვის სამეწარმეო უნარების განვითარების ტრენინგების მხარდაჭერა		x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020 - 2021	ისეთი პროექტების მხარდაჭერა, რომელიც ითვალსიწინებს ცნობიერების ამაღლების კამპანიების ორგანიზებას		x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020 - 2021	შემოქმედებითი ბიზნეს პროექტების მხარდაჭერა		x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020 - 2021	შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის სივრცეების შეთავაზება		x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში კულტურის მენეჯმენტის მიმართულებით სტიმულირებულ სტუდენტთა რაოდენოაბა;
- სტუდენტებისთვის და შემოქმედებით ინდუსტრიაში დასაქმებულებისთვის სამეწარმეო უნარების განვითარების მიმართულებით ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა;
- სტუდენტებისთვის და შემოქმედებით ინდუსტრიაში დასაქმებულებისთვის სამეწარმეო უნარების განვითარების მიმართულებით ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეთა რაოდენობა;
- ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებული ტრენინგების, სემინარების და ა.შ. რაოდენობა;
- ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებში, სემინარებში და ა.შ. მონაწილე პირთა რაოდენობა;
- დაფინანსებული ბიზნეს პროექტების რაოდენობა;
- შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის გამოყოფილი სივრცეების რაოდენობა.

სტრატეგიული მიმართულება 3

კულტურის მუნიციპალური ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარება

3.1. მუნიციპალური ბიბლიოთეკის განვითარება;

3.2. ბათუმის კულტურის ცენტრის განვითარება.

3.1. მუნიციპალური ბიბლიოთეკის განვითარება

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მუნიციპალური ბიბლიოთეკის განვითარება, ბიბლიოთეკაში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად და ბიბლიოთეკაში ფართო საზოგადოების მოზიდვის ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად განვითარებულია მუნიციპალური ბიბლიოთეკა, გააქტიურებულია კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა და გაუმჯობესებულია განხორციელებულ პროექტთა ხარისხი.

პროგრამის აღწერა

აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა წარმოადგენს კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებას. ბიბლიოთეკა განთავსებულია ორ შენობაში: ძირითადი შენობა მდებარეობს მისი პირველადი დაარსების ადგილზე - ვაჟა-ფშაველას ქ. №21-ში და მეორე - საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება - ივ. ჯავახიშვილის ქ. №72-ში.

ბიბლიოთეკას, რომელიც ას წელსაა გადაცილებული (საჯარო ბიბლიოთეკა 1902 წლის 13 ოქტომბერს გაიხსნა. ბიბლიოთეკის გამგეობის შემადგენლობაში შედიოდნენ: ივ. ანდრონიკაშვილი (ქალაქის თავი), გრ. ვოლსკი, ვ. ლორტინი, ე. ტურკინი და კ. ჩხეიძე), მეტად საინტერესო და საყურადღებო ფონდი გააჩნია. აქ თავმოყრილია როგორც ძველი, ისე ახალი წიგნებისა და პერიოდიკის ფონდები, კარტოგრაფიული და გრაფიკული გამოცემები, დისკები და მრავალგვარი აუდიოვიზუალური მასალა. ფონდში დაცული დოკუმენტები წარმოდგენილია ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, თურქულ, არაბულ, უკრაინულ, ბერძნულ, პოლონურ, ჩეხურ, აზერბაიჯანურ, სომხურ, ტაჯიკურ, ბასკურ, ქურთულ, ებრაულ, სპარსულ, შვედურ, იაპონურ, ბულგარულ, ყაბარდოულ ენებზე.
2018 წლისათვის ბიბლიოთეკის ფონდი შეადგენს 556 118 ერთეულს. საკმაოდ მაღალია ფონდის ბრუნვა და მკითხველთა რაოდენობა. საშუალოდ წლის განმავლობაში გაიცემა 210 ათასი ერთეული, მუდმივ მკითხველთა რაოდენობა 3500-ს შეადგენს, დამსწრეთა რაოდენობა 90 ათას აღემატება. ბიბლიოთეკაში არის 8 განყოფილება და ამერიკული კუთხე.
ამერიკული კუთხე ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის შენობაში 2006 წელს დაარსდა. კუთხეს კოორდინირებას საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო უწევს, ხოლო პროგრამების ფინანსური მხარდამჭერი ა.შ.შ.-ის სახელმწიფო დეპარტამენტია.
2015 წელს ბათუმის ამერიკულ კუთხეს პრიორიტეტული კუთხის სტატუსი ერგო და ევროპის მასშტაბით წარმატებული ამერიკული კუთხეების სიაში შევიდა. 2017 წელს კი კუთხე საქართველოში არსებულ ამერიკულ კუთხეებს შორის საუკეთესო ამერიკულ კუთხედ დასახელდა.
ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ამერიკულ კუთხეში შეუძლია: მიიღოს ინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ, შეიძინოს ცოდნა და გაიუმჯობესოს სხვადასხვა უნარ-ჩვევა, გაიუმჯობესოს ინგლისური ენის უნარ-ჩვევები, მიიღოს ინფორმაცია და ისარგებლოს თანამედროვე ტექნოლოგიებით (სამგანზომილებიანი პრინტერი, სამგანზომილებიანი კალამი, Electronic Snap Circuits, Little Bits, Makey Makey, Lego MInd Storm, Osmo, VR სათვალეები), ისარგებლოს უახლესი ლეპტოპებითა და აიპედებით, ისარგებლოს უფასო მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით, ისარგებლოს 30-ზე მეტი სამაგიდო თამაშით, რომელიც გათვლილია სხვადასხვა ასაკის მომხმარებელზე, გამოიყენოს 6 000-ზე მეტი სხვადასხვა თემატიკისა და ჟანრის წიგნი და 500-ზე მეტი აუდიო-ვიდეო მასალა, დაესწროს და ჩაატაროს საჯარო ლექციებს ინგლისურ და ქართულ ენებზე, გამოიყენოს სივრცე საკუთარი იდეებისა და პროექტების განხორციელებისთვის, შეხვდეს საინტერესო ხალხს, შეიძინოს მეგობრები და გაიფართოვოს სანაცნობო წრე.
ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის პოპულარიზების მიზნით ბიბლიოთეკა ახალგაზრდებს წინასწარ შერჩეული წიგნების მიხედვით შექმნილი ფილმების საჯარო ჩვენებებზე

იწვევს. ინსცენირებული შინაარსი ახალგაზრდისთვის უფრო იოლად აღქმადია და ეს მას უჩენს სურვილს წინასწარ გაეცნოს წიგნს, რათა ფილმის ჩვენების შემდეგ იმსჯელოს ავტორის შემოქმედებასა და რეჟისორის ხედვაზე.
საჯარო ბიბლიოთეკის ახალ სივრცეებში ახალგაზრდები წაკითხული წიგნების განხილვასაც აწყობენ, რომლის ფარგლებშიც სადისკუსიო კლუბის წევრები ერთმანეთს თავიანთ მოსაზრებებსა და შთაბეჭდილებებს უზიარებენ, მსჯელობენ კონკრეტული წიგნის მხატვრულ ღირებულებებზე და ერთად იღებენ გადაწყვეტილებაზე მომდევნო შეხვედრამდე წასაკითხავი წიგნების არჩევანის შესახებ.
საჯარო ბიბლიოთეკა ახალგაზრდებს ე.წ ხმოვან წიგნებსაც სთავაზობს, რომელთა დახმარებითაც ახალგაზრდები უცხოურ ლიტერატურას ორიგინალურ ენაზე ეცნობიან, ისმენენ მშობლიურ ენაზე მოსაუბრე ავტორის ჩანაწერს და იუმჯობესებენ უცხოური ენის უნარებს.
წიგნის პოპულარიზებისთვის საჯარო ბიბლიოთეკა აქტიურად იყენებს მულტიმედიურ საშუალებებს. ნოვატორული იდეები და ინტერაქტიული აქტივობები ეხმარება ახალგაზრდას მისთვის კითხვის პროცესი სასიამოვნო და პროდუქტიული იყოს.
მომხმარებელთან მუშაობის თვალსაზრისით, ბიბლიოთეკა ერთ-ერთი საუკეთესოა საქართველოში. მას მჭიდრო ურთიერთობა აქვს ქალაქის მოსახლეობასთან, რაც უმეტესად აქ ჩატარებულ ღონისძიებებში ჰპოვებს ასახვას, კერძოდ, ტარდება შემეცნებითი დისკუსიები, ლექციები, კონფერენციები, წიგნების განხილვა-გარჩევები, ლიტერატურული საღამოები, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების ჩვენებები, სლაიდ-შოუები, ბათუმში მოღვაწე შემოქმედ, ღვაწლმოსილ და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლე და სტუდენტ-ახალგაზრდებთან მუშაობას. მუდმივი ურთიერთობაა სკოლებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან, რომელთა მოსწავლეები და სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ ღონისძიებებში და დარგობრივ კლუბებში. ბიბლიოთეკაში ეწყობა საბიბლიოთეკო დოკუმენტების, როგორც მუდმივი, ისე ახალი წიგნების მრავალფეროვანი გამოფენები, მოქმედებს 10 კლუბი ინტერესთა მიხედვით. წლის განმავლობაში საშუალოდ 60 ღონისძიება, 80 გამოფენა და 75-მდე საკლუბო შეხვედრა იმართება.
მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ბიბლიოთეკა გამართულად და თანამედროვე სტანდარტებით მოღვაწეობს. აქ ყველა პირობაა შექმნილი საქმიანობის მაღალ პროფესიულ დონეზე წარმართვისათვის, თუმცა მეთოდოლოგიურად შრომის პროცესების შემდგომ დახვეწაზე მუშაობა გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიოთეკას აღარ აქვს ავტონომიური რესპუბლიკის მთავარი ბიბლიოთეკის სტატუსი, წესდება მას ავალებს და ფაქტობრივადაც ის მეთოდურ-პრაქტიკულ დახმარებას უწევს აჭარის ყველა ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკას, საბიბლიოთეკო დარგში ინოვაციური პროცესების მართვას.
ახალი საუკუნის დასაწყისიდან ბიბლიოთეკაში დაინერგა ახალი ტექნოლოგიები, შემოიტანეს კომპიუტერები, ტექნიკური აპარატურა, ვითარდება კომუნიკაციის სისტემები, 2001 წლიდან ინტერნეტი გამოიყენება საბიბლიოთეკო პროცესებში და მკითხველთა მომსახურებისას. 2009 წელს შეიქმნა ბიბლიოთეკის ერთიანი კომპიუტერული ქსელი და დაიწყო ელექტრონული კატალოგების წარმოება. ბიბლიოთეკა თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა საელჩოებსა და მოქმედ ფონდებთან.
ბიბლიოთეკა ემსახურება როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე ბათუმში მყოფ ტურისტებსა და სამეცნიერო-ინფორმაციული მასალების მოძიებისათვის საქმიანი ვიზიტით მყოფ უცხოელებს.

თანამედროვეობის მოთხოვნების შესაბამისად, ბიბლიოთეკის მრავალფუნქციურ საგანმანათლებლო-კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბების მიზნით პროგრამა ითვალსიწინებს ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სერვისის გაუმჯობესებას, ბიბლიოთეკის განვითარების გეგმის შემუშავებას - ბიბლიოთეკა გახდება სივრცე, რომელიც მიმზიდველი იქნება ყველასათვის: აქტიური შეკრებების, დისკუსიების, საკუთარი ნაშრომისა და მოსაზრებების საჯარო წარდგენის, სასწავლო, საგანმანათლებლო-კულტურული პროექტების და ახალი იდეების გენერირების ადგილი.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: ბიბლიოთეკის ტექნიკური ბაზის განახლება-გაუმჯობესება, საბიბლიოთეკო ინტეგრირებული საინფორმაციო ტექნოლოგიების (სპეციალური პროგრამების) მიმართულებების გაზრდა, ბიბლიოთეკის ძირითადი შენობის (ვაჟა-ფშაველას ქ. N21) რეკონსტრუქცია. მათ შორის რეაბილიტაცია ჩაუტარდება შენობის სარდაფს, ასევე, არსებულ შენობას დაემატება მესამე სართული, რითაც ერთის მხრივ, გაუმჯობესდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მეორეს მხრივ, გაიხსნება საბიბლიოთეკო ფონდი და გაფართოვდება მომსახურების მიმართულებები, მოეწყობა საბავშვო სექტორი, საკონფერენციო და საგამოფენო დარბაზი, სახელოვნებო ოთახი, ტრენინგების

ოთახები, კომპიუტერებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების ოთახი. რაც, ბიბლიოთეკის ძირითად საქმიანობასთან ერთად, უზრუნველყოფს სასწავლო და საგანმანათლებლო საქმიანობას, სოციალიზაციას, საჯარო მომსახურებათა ხელმისაწვდომობას და სხვ.

ბიბლიოთეკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, იგეგმება კიდევ სამი განყოფილების (ბიბლიოთეკის) შექმნა (ბონი - გოროდოკის ადმისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, ხიმშიაშვილი - აღმაშენებლის ადმისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, გონიო - კვარიათის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე), რითაც ერთის მხრივ ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულებში ხელისაწვდომი იქნება საბიბლიოთეკო სერვისი და მეორეს მხრივ განიტვირთება ქალაქის ცენტრალური ნაწილი.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ განვითარების გეგმის შემუშავება;
- ✓ ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ შენობის რეკონსტრუქცია;
- ✓ ბიბლიოთეკებში ფონდების გამდიდრების, მომსახურებათა დახვეწის, ინოვაციური მიდგომებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების მხარდაჭერა;
- ✓ არქივებში კოლექციებისა და მასალების გაციფრულების ხელშეწყობა და სხვა მექანიზმების შემუშავება კულტურული ფასეულობების შენარჩუნებისა და დაცვის, მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით;
- ✓ თანამშრომელთა გადამზადების პროგრამების მხარდაჭერა, ინოვაციური მიდგომებისა და ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით;
- ✓ ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ ფილიალების დაფუძნება და ფუნქციონირება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ განვითარების გეგმის შემუშავება	საზოგადოების ინტერესებთან შეუსაბამო გეგმის შემუშავება	3	4	12	საზოგადოების ინტერესების დასადგენად მათთან წინასწარი შეხვედრების ჩატარება	2	3	6
2.	ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ შენობის	მომწოდებლის მიერ ვალდებულების დაგვიანებით ან დაბალი ხარისხით შესრულება	2	4	8	მუდმივი ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება	1	3	3

	რეკონსტრუქცია	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	5	15	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	5	10
3.	ბიბლიოთეკებში ფონდების გამდიდრების, მომსახურებათა დახვეწის, ინოვაციური მიდგომებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების მხარდაჭერა	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	5	15	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	5	10
4.	არქივებში კოლექციებისა და მასალების გაციფრულების ხელშეწყობა და სხვა მექანიზმების შემუშავება კულტურული ფასეულობების შენარჩუნებისა და დაცვის, მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	5	15	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	5	10
5.	თანამშრომელთა გადამზადების პროგრამების მხარდაჭერა, ინოვაციური მიდგომებისა და ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით	დაბალი ინტერესი	2	4	8	პროექტის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლება	1	3	3
6.	ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ ფილიალების დაფუძნება და ფუნქციონირება	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	5	15	ფინანსური რესურსების მობილიზებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელება	2	5	10

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.

ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019	ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ განვითარების გეგმის შემუშავება		x	x									
2019 - 2020	ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ შენობის რეკონსტრუქცია		x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019 - 2021	ბიბლიოთეკებში ფონდების გამდიდრების, მომსახურებათა დახვეწის, ინოვაციური მიდგომებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვისა და გამოყენების მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019 - 2021	არქივებში კოლექციებისა და მასალების გაციფრულების ხელშეწყობა და სხვა მექანიზმების შემუშავება კულტურული ფასეულობების შენარჩუნებისა და დაცვის, მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019 - 2021	თანამშრომელთა გადამზადების პროგრამების მხარდაჭერა, ინოვაციური მიდგომებისა და ახალი ტექნოლოგიების გათვალისწინებით		x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2021	ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ ფილიალების დაფუძნება და ფუნქციონირება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ა(ა)იპ „აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ განვითარების გეგმა;
- რეაბილიტირებული აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის შენობა;
- საბიბლიოთეკო ფონდის რაოდენობა;
- რეგისტრირებულ მკითხველთა რაოდენობა;
- საბიბლიოთეკო ფონდის ბეჭდური გამოცემებით სარგებლობის რაოდენობა;
- საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული რესურსებით (აუდიო-ვედეო მასალა და ინტერნეტი) სარგებლობის რაოდენობა;
- საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული კატალოგების რაოდენობა;
- საბიბლიოთეკო ფონდის წიგნების და ფოტოების გაციფრების რაოდენობა;
- ჩატარებული კულტურულ-საგანმანათლებო და სამეცნიერო–ინფორმაციული ღონისძიებების რაოდენობა;
- გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა;
- აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის 3 ახალი შენობა (ფილიალი).

3.2. ბათუმის კულტურის ცენტრის განვითარება

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია კულტურის ცენტრის განვითარების ხელშეწყობა, ქართული კულტურის პოპულარიზაცია და ქალაქში კულტურული ცხოვრების გააქტიურება.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად რეგულარულად ხორციელდება კულტურის პროექტები; ვითარდება ბათუმის კულტურის ცენტრი.

პროგრამის აღწერა

ა(ა)იპ „ქ. ბათუმის კულტურის ცენტრი“ 10 წლისაა. იგი დაარსდა ქ. ბათუმის მერიის განკარგულებით. 2007 წელს 27 დეკემბერს სახელწოდებით „ბათუმის ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი“, რომელიც გახდა ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლის უფლებამონაცვლე. ფაქტობრივად ცენტრმა მუშაობა დაიწყო 2008 წელს, რომლის სტრუქტურაში ქორეოგრაფიულ ანსამბლთან ერთად შევიდა ქალთა ვოკალური ანსამბლი. შეიქმნა ახალი შემოქმედებითი კოლექტივები სასულე ორკესტრი, კამერული ანსამბლი. წლების განმავლობაში ცენტრს შეუერთდა როკ–ანსამბლი. „ბეთლემი“, სიმებიანი ორკესტრი, ჯაზ–ბიგ ბენდი, ქორეოგრაფიული სტუდია, ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი, ანსამბლი „ჯეო პლანეტი“, ასევე კახაბრის კლუბი და მეგობრობის სახლი. ქ. ბათუმის მერის 2015 წლის 9 ივლისის №501 ბრძანებით „ბათუმის ხელოვნების და კულტურის ცენტრს“ ეწოდა „ბათუმის კულტურის ცენტრი“. ამჟამად „ბათუმის კულტურის ცენტრში“ 9 შემოქმედებითი კოლექტივია.

ქალთა კამერული გუნდი საქართველოს მუსიკალური კულტურის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენლად ითვლება. იგი თავისი სპეციფიკითა და სტრუქტურით სრულიად განსხვავებულია. ამ ტიპის საგუნდო კოლექტივი საქართველოში მხოლოდ ორია. ქალთა კამერული გუნდი არაერთი საერთაშორისო საგუნდო კონკურსების პრიზიორია, დაჯილდოებულია მედლებით, დიპლომებით, საერთაშორისო სერთიფიკატებით (ბულგარეთი, თურქეთი, ლატვია და ა.შ) კამერული გუნდი წარმატებულად გამოდის თბილისის საგუნდო მუსიკის ყოველწლიურ საერთაშორისო ფესტივალზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მონაწილეობა ლატვიის, რიგის მსოფლიოში სახელგანთქმულ ფესტივალზე, რომელშიც უკვე მეორედ მიიღო მონაწილეობა. ამჟამად მიმდინარეობს კამერულ გუნდზე დოკუმენტური ფილმის გადაღება. კულტურის ცენტრის ქალთა კამერული გუნდი ბათუმის სავიზიტო ბარათია და მსოფლიო დონის საშემსრულებლო კოლექტივია.

„ბათუმის კულტურის ცენტრთან“ არსებული სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი დაარსებიდან უკვე ორ ათეულ წელზე მეტს ითვლის. ანსამბლი წარმატებით გამოდიოდა და დღემდე გამოდის სხვადასხვა ქვეყნის ფესტივალებსა და კონკურსებზე. ყველა კონკურსიდან გამარჯვებული და გრან – პრის მფლობელის ტიტული ჩამოაქვს. ანსამბლი გასტროლებზე იმყოფებოდა შემდეგ ქვეყნებში: საბერძნეთში, თურქეთში, ლატვიაში, შვედეთში, დანიაში, ისრაელში, სირიაში, ბულგარეთში, სომხეთში, გერმანიაში, ბელგიაში, ესპანეთში, ჩინეთში და სხვ.

ვოკალური ანსამბლი შეიქმნა 2008 წელს. ანსამბლი ჩამოყალიბდა, როგორც საინტერესო შემოქმედებითი კოლექტივი, რომელსაც თავის რეპერტუარში აქვს ქართული თანამედროვე სიმღერები, შუა საუკუნეების საგალობლები, ქალაქური ფოლკლორისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კლასიკური და მსუბუქი სასიმღერო ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები. ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ფესტივალებში დანიასა და თურქეთში, უკრაინაში და სხვა.

ჯაზ ბიგ ბენდი ჩამოყალიბდა „ბათუმის კულტურის ცენტრის“ ბაზაზე 2013 წელს აჭარის დამსახურებული არტისტის, კომპოზიტორის ვახტანგ გორდაძის ხელმძღვანელობით. ბენდი გამოირჩევა შესრულების მაღალი დონით. რეპერტუარი დაფუძნებულია როგორც ქართულ მუსიკაზე, ასევე

მსოფლიო კლასიკური ჯაზური მუსიკის საკუთარ, ორიგინალურ ინტერპრეტაციაზე. ბენდი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს არა მარტო მაყურებელში, არამედ მას მაღალ შეფასებას აძლევენ პროფესიონალები.

ჯაზ ბიგ ბენდი წარმატებით გამოდის არამარტო ქ. ბათუმის მსმენელთა წინაშე, არამედ წარმატებით სარგებლობს უცხოეთში. ამის დასტურია ბენდის გამოსვლები ბერლინის და პოტსდამის (გერმანია) ჯაზური მუსიკის ფესტივალებზე.

საინტერესო შემოქმედებით საქმიანობას ეწევა ჯგუფი ,,ჯეო პლანეტი“, ჯგუფის რეპერტუარი აგებულია ქართული ხალხური სიმღერების პოპ და როკ მუსიკის ე.წ. ეთნო ფოლკპოპროკის სინთეზზე. ჯგუფი მონაწილეობდა პოპულარულ კონკურსებზე ,,ჯეოსტარი“, მე მიყვარს საქართველო“. წარმატებით ჩაიარა ჯგუფის ტურნემ გერმანიაში 2011 წელს პოცდამში, ბილეფელდსა და ბერლინში. სხვადასხვა წლებში აქ მოღვაწეობდნენ ნიჭიერი მომღერლები – ნიკო ბერიძე, ლუკა ზაქარიაძე, მიხეილ სულუხია და სხვა. ჯგუფის სოლისტი ნანუკა გიორგობიანი პირველი იყო აჭარიდან, ვინც წარსდგა ქ.ბათუმში ევროვიზიის შესარჩევ ტურზე.

ხალხური სიმღერის ვაჟთა ვოკალური ანსამბლი შეიქმნა 2014 წლის 1 ივლისს. ანსამბლში 11 მომღერალია. სარეპერტუარო პოლიტიკა განისაზღვრა ავთენტური და ფოლკლორული ნიმუშების მოძიებასა და პოპულარიზაციაში. მონაწილეობს ბათუმში გამართულ კულტურულ–მასობრივ ღონისძიებებში, წარმატებით გამოვიდა ქ.თბილისში ცნობილი მომღერლის და ლოტბარის რამინ მიქაბერიძის საიუბილეო საღამოზე რუსთაველის სახელმწიფო თეატრის სცენაზე.

ცენტრთან ფუნქციონირებს ქორეოგრაფიული სტუდია. მისი შექმნის მიზანი იყო ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლისათვის სარეზერვო კადრების მომზადება. სტუდიაში 30 ახალგაზრდა ირიცხება. სწავლა უფასოა. სტუდიამ უკვე არაერთი კადრი მოამზადა, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ შემოქმედებით საქმიანობას ქორეოგრაფიულ ანსამბლში.

ერთ-ერთი გამოირჩეული ანსამბლია სიმებიანი კვარტეტი. კვარტეტი გამოირჩევა რაფინირებული საკონცერტო რეპერტუარით.

განვლილი 10 წლის განმავლობაში ,,ბათუმის კულტურის ცენტრის“ შემოქმედებითი კოლექტივების მიერ სხვადასხვა სახელმწიფო, მემორიალურ, სამოქალაქო, სახალხო და სხვა ტიპის ღონისძიებებზე 1000–ზე მეტი კონცერტი გაიმართა.

ამჟამად ,,ბათუმის კულტურის ცენტრი“ განთავსებულია საზაფხულო თეატრის შენობაში და აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწევა. ცენტრის მიზანია ქართული ფოლკლორის, კლასიკური და თანამედროვე მუსიკის პოპულარიზაცია, საშემსრულებლო
დონის ამაღლება, მრავალფეროვანი და საინტერესო ღონისძიებების შეთავაზება როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოეთიდან ჩამოსული მაყურებლისთვის.

შემოქმედებით კოლექტივებთან მიმართებაში პრობლემას წარმოადგენს სტანდარტების შესაბამისი სარეპეტიციო სივრცის არ არსებობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის - კოსტიუმების განახალება/შეკერვა, მცირე საგასტროლო ბიუჯეტი და დაბალი ცნობადობა - სარეკლამო მასალის არ არსებობა. პრობლემების გადაჭრის მიზნით დაგეგმილია: ცალკეული კოლექტივის განვითარების 4 წლიანი ხედვის შექმნა. კოლექტივების აქტუალურობისა და შესრულების ხარისხის გადახედვა, რეპერტუარისა და კოლექტივების შემადგენლობის განახლება და თანამედროვე სტანდარტებზე მორგება, კოლექტივების პოპულარიზაცია - სწორედ დაგეგმილი სარეკლამო კამპანიის შედეგად. სარეკლამო ვიდეო და აუდიო რგოლების შექმნა, სარეკლამო ფოტო სესიების გამართვა, ინტერნეტ სივრცეში თითოეული კოლექტივის გვერდის შექმნა (Facebook), ინოვაციური კოლაბორაციული პროექტების შექმნა, ცენტრის მიერ თვითორგანიზებული საპრომოუშენო კონცერტების დაგეგმვა არსებული მატერიალურ ტექნიკური ბაზის გამოყენებით.

მატერიალურ - ტექნიკური ბაზა: მნიშვნელოვანია რეგიონში ტექნიკური ბაზის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს უმეტესი საშემსრულებლო კოლექტივების მოთხოვნებს. ბათუმის კულტურის ცენტრის მფლობელობაში არის სცენა, გახმოვანების აპარატურა და განათება. იმისათვის, რომ ცენტრმა შეძლოს სრულყოფილი ღონისძიებების ჩატარება აუცილებელია არსებულ გახმოვანების აპარატურას დაემატოს ის სრულიად აუცილებელი ტექნიკა, რომელიც საჭიროა ცოცხალი შესრულების გასახმოვანებლად - როგორც როკ შემსრულებლებისთვის, აგრეთვე ორკესტრისთვის. ტექნიკურად გამართვის შედეგად გახმოვანების აპარატურა გახდება სრულყოფილი და შექმნის სრულიად კონკურენტუნარიან ერთეულს. განათების აპარატურა მეტად პრობლემატური საკითხია, რადგან თითქმის არ პასუხობს სტანდარტებს არც სიახლით და არც რაოდენობით, რაც აგრეთვე აუცილებელია კონკურენტუნარიანი გარემოს შესაქმნელად.

სცენასთან მიმართებაში ტექნიკური პრობლემები არანაკლებია, თუმცა გადაჭრადი. კულტურის ცენტრის ბაზაზე არსებობს 2 სცენა - (15მ*14მ და 18მ*30მ). დიდი სცენა არის ერთადერთი ამ ზომის კონსტრუქცია ამიერკავკასიაში. ორივე სცენას ესაჭიროება კაპიტალური შეკეთება და განახლება.

საზაფხულო თეატრი: ბათუმში არსებული მცირე საკონცერტო სივრცეების ფონზე მნიშვნელოვანია საზაფხულო თეატრის რესურსის ბოლომდე გამოყენება, მისი რენოვაცია და როგორც საკონცერტო სივრცის ზამთრისთვის ადაპტირება. ზამთრის მოახლოებასთან ერთად ეს დარბაზი კარგავს ფუნქციას რადგან აქვს ღია ფანჯრები და არ გააჩნია გათბობა. ქალაქის მასშტაბით არსებული დარბაზებისა და საკონცერტო სივრცეების სიმცირის გამო მიზანშეწონილია ზამთარის სეზონისთვის თეატრში ჩაიკეტოს ფანჯრები, დამონტაჟდეს გათბობის სისტემა მთლიან შენობაში - სცენაზე და დარბაზში, მოიხსნას სკამები და ჩაიკეტოს საორკესტრო ორმო, ფოიეში დამონტაჟდეს ბარები, აკუსტიკის გასაუმჯობესებლად რეკომენდირებულია დარბაზის იატაკზე ხალიჩის დაგება. დარბაზის ასეთი სახეცვლილება მოგვცემს საშუალებას მასში ჩატარდეს ყველა ტიპის კონცერტი - როკ, ელექტრონული, გასართობი ტიპის და სხვა.
ცენტრის შემდგომი განვითარების მიზნით მნიშვნელოვანია ცენტრის ადამინური რესურსისა და მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაძლიერება/განახლება, შემოქმედებითი კოლექტივების და ცენტრის ადმინისტრაციის პროფესიული ზრდის მიზნით, მათი პერიოდული გადამზადება, საერთაშორისო, თუ ადგილობრივ კულტურულ ღონისძიებებში ჩართულობა და სხვ. მნიშვნელოვანია კულტურული ღონისძიებების გამრავალფეროვნება, ცენტირს მიერ დაგეგმილი ღონისძიებები მორგებული უნდა იყოს ყველა თაობის ადამიანებისათვის და სანახაობრივად საინტერესო და მრავალფეროვანი როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი სტუმრებისათვის, ღირშესანიშნავი დღეების აღნიშვნასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია, რომ ამ დღეებში გამართული ღონისძიებები გარდაიქმნას შთამბეჭდავ სანახაობად. ბათუმს თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობითა და არსებული ბუნებრივი, ისტორიული თუ კულტურული რესურსებით ტურიზმის განვითარების უზარმაზარი შესაძლებლობანი გააჩნია. ამის გამო საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ის ხელსაყრელი შესაძლებლობები, რომლებსაც ტურიზმის შემდგომი განვითარება გვთავაზობს.
ვინაიდან კულტურული ტურიზმის როლი მეტად მნიშვნელოვანია ქალაქის განვითარებისათვის, ტურისტულ სეზონზე მიზანშეწონილია ბათუმის კულტურის ცენტრის ორგანიზებით და ბათუმელ ხელოვანთა/შემოქმედებითი კოლექტივებისა მონაწილეობით მოეწყოს სხვადასხვა გასართობი, კულტურული და სანახაობრივი ღონისძიებები. მაგ: პოპ მუსიკის, ფოლკლორის, როკისა და ბლუზის, კინოსა და თეატრის, კლასიკური და თანამედროვე მუსიკის დღეები. მსმენელებს მიეცეს სხვადასხვა ჟანრის ხარისხიანი მუსიკის მოსმენის შესაძლებლობა. სეზონის განმავლობაში ქუჩის მუსიკოსებმა და ქუჩის მოცეკვავეებმა ბათუმის ქუჩებში შექმნან სადღესასწაულო განწყობა, იყოს ფერთა ზეიმი, მოეწყოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა გამოფენები, ღია კინოჩვენებები, თეატრალური წარმოდგენები, გაიმართოს ფოლკლორული კონცერტები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ფოლკლორული ანსამბლები სხვადასხვა ქვეყნიდან, საზაფხულო თეატრსა და ღია საკონცერტო სივრცეებში გაიმართოს ცნობილი ანსამბლებისა და შემსრულებლების კონცერტები, მოეწყოს სხვადასხვა ქართული ბენდების კონცერტები, თემატური კარნავალები, ევროპული ცეკვები და სხვადასხვა სახის წვეულებები, კოსტიუმირებული მსვლელობები, საბავშვო სპექტაკლები და სხვ.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ✓ ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ განვითარების გეგმის შემუშავება;
- ✓ ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ ბრენდირება (მაგ. სარეკლამო მასალების დამზადება, სარეკლამო ფოტო სესიების გამართვა, ინტერნეტ სივრცეში თითოეული კოლექტივის გვერდის შექმნა (Facebook), რაც ხელს შეუწყობს ცენტრის ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასა და ცენტრის პოპულარიზაციას)
- ✓ ბათუმის საზაფხულო თეატრის რეაბილიტაცია (მაგ. თეატრის ადაპტირება ზამთრის სეზონისათვის, ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირებისთვის; თანამედროვე მოთხოვნების საგამოფენო სივრცის შექმნა და სხვ.);
- ✓ ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება (მაგ. შემოქმედებითი ჯგუფებისათვის მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენა, კოსტიუმების განახალება/შეკერვა, სცენის აღჭურვა, გახმოვანება - განათება და სხვ.);
- ✓ მრავალფეროვანი და მაღალხარისხიანი კულტურული ღონისძიებების ორგანიზება (მაგ. ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა, ტურისტულ სეზონზე სხვადასხვა ღონისძიებების გამართვა და სხვ.)
- ✓ კულტურის ცენტრის ადამიანური რესურსების განვითარება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძებები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ განვითარების გეგმის შემუშავება	საზოგადოების ინტერესებთან შეუსაბამო გეგმის შემუშავება	3	4	12	საზოგადოების ინტერესების დასადგენად მათთან წინასწარი შეხვედრების ჩატარება	2	3	6
2.	ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ ბრენდირება	სარეკლამო მასალების დაბალი ხარისხი	2	3	6	მომწოდებლის მხრიდან ვალდებულების შესრულებაზე მონიტორინგის წარმოება	1	2	2
3.	ბათუმის საზაფხულო თეატრის რეაბილიტაცია	სამუშაოების დაგვიანებით და არასათანადოდ შესრულება	3	4	12	სამუშაოს შესრულებაზე ზედამხედველობა	2	3	6
4.	ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება	მომწოდებლის მიერ ვალდებულების დაგვიანებით და არასათანადოდ შესრულება	3	4	12	მომწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულებაზე ზედამხედველობა	2	3	6

5.	მრავალფეროვანი და მაღალხარისხიანი კულტურული ღონისძიებების ორგანიზება	საზოგადოების დაბალი ინტერესი	3	4	12	საზოგადოების წინასწარი ინფორმირებულობა	2	3	6
6.	კულტურის ცენტრის ადამიანური რესურსების განვითარება	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესუსრსების მობილიზების მიზნით	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ ადმინისტრაცია და შემოქმედებითი კოლექტივები;
- ❖ ტურისტები;
- ❖ ვიზიტორები.

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ❖ ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრი“;
- ❖ შემოქმედებითი კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური.
ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრი

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019	ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ განვითარების გეგმის შემუშავება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	
2019 - 2021	ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ ბრენდირება		x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019 - 2020	ბათუმის საზაფხულო თეატრის რეაბილიტაცია		x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019 - 2021	ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019 - 2021	მრავალფეროვანი და მაღალხარისხიანი კულტურული ღონისძიებების ორგანიზება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019 - 2021	კულტურის ცენტრის ადამიანური	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

	რესურსების განვითარება												

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ განვითარების გეგმა;
- ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ ბრენდირების მიზნით შექმნილი სარეკლამო მასალა;
- რეაბილიტირებული ბათუმის საზაფხულო თეატრი;
- ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;
- ჩატარებული კულტურული ღონისძიებებში დამსწრე პირთა რაოდენობა;
- ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრის“ გადამზადებულ თანამშრომელთა რაოდენობა.

სტრატეგიული მიმართულება 4

კულტურაზე წვდომა და კულტურული მრავალფეროვნება

4.1. კულტურაზე ხელმისაწვდომობა.

4.1. კულტურაზე ხელმისაწვდომობა

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, სპეციალურ საჭიროებათა მქონე პირებისა და ეთნიკური ჯგუფების ბათუმის კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობა, კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა.

პროგრამის მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად გაზრდილია ხელმისაწვდომობა კულურაზე, სპეციალურ საჭიროებათა მქონე პირები და ეთნიკური ჯგუფები აქტიურად მონაწილეობენ კულტურულ ცხოვრებაში, მათთვის ხელმისაწვდომია კულტურის ინფრასტრუქტურა და რესურსები, დაცულია კულტურული მრავალფეროვნება და უზრუნველყოფილია სხვადასხვა კულტურის შეუზღუდავი თვითგამოხატვა.

პროგრამის აღწერა

„ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მონაწილეობდეს საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში, ტკბებოდეს ხელოვნებით, მონაწილეობდეს მეცნიერულ პროგრესში და სარგებლობდეს მისი სიკეთით“. (გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 27, 1948 წ.)

კულტურული მოღვაწეობა არის ადამიანის შეუვალი უფლება, განურჩევლად მისი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა მახასიათებლისა.

„კულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად კულტურული მოღვაწეობის ერთ-ერთი პრინციპია კულტურული და შემოქმედებითი მოღვაწეობის ხელმისაწვდომობა და საჯაროობის შეუზღუდველობაა. ამავე კანონის მე-8 და მე-11 მუხლების მიხედვით, ყოველ ადამიანს აქვს ნებისმიერი სახის შემოქმედებითი მოღვაწეობის უფლება თავისი ინტერესებისა და უნარის შესაბამისად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს ეზიაროს კულტურულ ფასეულობებს, ისარგებლოს სახელმწიფო ბიბლიოთეკების, მუზეუმების, არქივების ფონდებით, კულტურული მოღვაწეობის სხვა შესაბამისი მასალებით კანონმდებლობის ფარგლებში.

ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის უმნიშველოვანესი გამოწვევაა კულტურის საყოველთაო ხელმისაწვდომობა საზოგადოებისთვის, რაც თავად კულტურის განვითარებისთვისაც ერთობ მნიშვნელოვანია. მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტულია, ყველას მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა, ისარგებლოს მუნიციპალური სერვისებით, მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსებში შემოიტანოს თავისი პროექტები, მონაწილეობა მიიღოს მერიის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში.

გათვალისწინებული უნდა იყოს თითოეული ადამიანის უფლება კულტურაზე. საზოგადოება პატივისცემით უნდა იყოს გამსჭვალული განსხვავებული კულტურებისა და სუბ-კულტურების, ასევე, ამ კულტურათა მატარებლების მიმართ. დაინტერესებული პირებისთვის, კულტურის სფეროში თვითრეალიზება და თვითგამოხატვა გარანტირებული უნდა იყოს სპეციალური ხელშეწყობისა და დაფინანსების მექანიზმების მეშვეობით.

კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამების არჩევანი ყველა კატეგორიის მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს, ბავშვების, ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და დაბალშემოსავლიანი მოქალაქეების ჩათვლით.

2013 წლის 26 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ საქართველოს ავალდებულებს, აღიაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება, მონაწილეობა მიიღონ კულტურულ ცხოვრებაში სხვების თანაბრად და მიიღოს ყველა სათანადო ზომა, რათა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს მიეცეთ შემოქმედებითი, არტისტული, ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისა და გამოხატვის საშუალება, რაც არა მხოლოდ ამ პირთა სარგებლობას, არამედ, მთელი საზოგადოების გამდიდრებასაც ემსახურება (კონვენციის 30-ე მუხლი).

კულტურის ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

ბათუმში, რიგი მუნიციპალური კულტურული დაწესებულებები ნაწილობრივ ადაპტირებულია შშმ პირთათვის, მაგრამ ამ მიმართულებით ასებული ბევრი პრობლემა პრობლემადვე რჩება. კულტურა ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. მუნიციპალტეტისთვის პრიორიტეტულია ქალაქში არსებული ყველა კულტურული დანიშნულების ადგილი, მასში ჩატარებული სხვადასხვა სახის ღონისძიება, მათ შორის საგანმანთლებლო, შემეცნებითი, კულტურული, გასართობი, სადღესასწაულო და ა. შ. თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს ყველა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანისთვის. ასევე, არსებითად მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის კულტურულ დაწესებულებებში არსებული სიკეთეებით სარგებლობის შეუზღუდავი შესაძლებლობების არსებობა.

მუნიციპალიტეტი მხარს დაუჭერს კულტურის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, არსებული და მშენებარე მუნიციპალური კულტურის ობიექტების მათ საჭიროებებთან ადაპტაციის გზით. მუნიციპალური კულტურის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელშეწყობა შშმ პირების ადაპტირებული პროგრამებითა და მასალებით (აუდიოწიგნები, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნები, სურდო - თარგმანი და სხვ.)

2016 წლის პირველი ივლისიდან საქართველოში ძალაშია და ამოქმედდა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ყველა მუხლი. ევროპასთან ასოცირების შეთანხმების მოთხოვნილ ვალდებულებებში ერთ-ერთი ძირითადი დირექტივა კულტურული მრავალფეროვნების დაცვასა და ხელშეწყობას ეხება, იუნესკოს „კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვის და ხელშეწყობის შესახებ“ 2005 წლის კონვენციის (კონვენციის რატიფიცირება საქართველოს მთავრობამ მოახდინა 2008 წლის 1 ოქტომბრიდან) პრეამბულაშივეა გაცხადებული ყველა ის მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელიც ყოველი დემოკრატიული ქვეყნის კულტურის პოლიტიკის საბაზისო დოკუმენტის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს, კერძოდ: კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენს კაცობრიობის საერთო მემკვიდრეობას, რომლის დაცვა და ხელშეწყობა აუცილებელია თითოეული ადამიანის საკეთილდღეოდ; საქართველო აღიარებს, რომ ადამიანს აქვს ნებისმიერი სახის შემოქმედებითი მოღვაწეობის უფლება, თავისი ინტერესებისა და უნარის შესაბამისად; საქართველო უზრუნველყოფს თავის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანისა და ჯგუფის კულტურული თვითმყოფადობისა და კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვასა და ხელშეწყობას.

ჩვენი ქალაქის კულტურულ მრავალფეროვნებას აქვს უდიდესი ტრადიცია, ტოლერანტული თანაცხოვრებისა და განვითარების პოზიტიური გამოცდილება. კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენს ქალაქის სიმდიდრეს და დემოკრატიული და სტაბილური განვითარების რესურსს.

2008 წელს, ქ. ბათუმში, ეთნიკური უმცირესობებისათვის, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებულ ა(ა)იპ „ბათუმის კულტურის ცენტრთან“ გაიხსნა „მეგობრობის სახლი“, რომელიც ამჟამად 9 დიასპორას აერთიანებს. ქ. ბათუმში ადრეც არსებობდნენ დიასპორები, მაგრამ ისინი სხვადსახვა მისამართებზე ფუნქციონირებდნენ და მხოლოდ „მეგობრობის სახლის“ დაფუძნების შემდეგ მიეცათ მთ ერთმანეთთან შეხვედრებისა და ურთიერთობის საშუალება. ეს დიასპორებია: სომხური (9380 წევრი), რუსული (4700 წევრი), აზერბაიჯანული (1676 წევრი), უკრაინული (726 წევრი), ებრაული (532 წევრი), ბერძნული (900 წევრი), გერმანული (118 წევრი), იეზიდური (92 წევრი) და თურქული (250 წევრი).

ბათუმში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობა არის დაცული, თუმცა, ამავდროულად საჭიროა ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის თვითმყოფადობის შემადგენელი ელემენტების – ენის, ტრადიციების, შემოქმედების ნიმუშებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება და ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლების სრულფასოვანი მონაწილეობისათვის დამატებითი პირობების შექმნა.

ამ მიზნით პროგრამა ითვალისწინებს ბათუმში მოქმედი ეთნიკური უმცირესობების ჯგუფების კულტურული პროექტების (მათ შორის გამოფენა, კონცერტი, საღამო, წიგნების გამოცემა, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი დღის აღნიშვნა და სხვ) მხარდაჭერასა და წახალისებას.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ❖ კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და კულტურის სფეროში თვითრეალიზებისა და თვითგამოხატვის უზრუნველყოფის მიზნით, ღია კონკურსების ორგანიზება;
- ❖ ეთნიკურ უმცირესობების ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა და ინტეგრაციის მიზნით, მათი კულტურული ინიციატივების მხარდაჭერა, ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობა და სხვ.;
- ❖ შშმ პირთა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა და ინტეგრაციის მიზნით, მათი კულტურული ინიციატივების მხარდაჭერა;
- ❖ მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში შშმ პირთა ჩართულობის მხარდაჭერა;
- ❖ კულტურის მუნიციპალური დაწესებულებების ტექნიკურ-ტექნოლოგიური ადაპტირება შშმ პირთა საჭიროებებთან;
- ❖ კულტურის მუნიციპალური დაწესებულების პერსონალის გადამზადებას შშმ პირებთან ურთიერთობისათვის საჭირო უნარების გასავითარებლად;
- ❖ კულტრურისა და ხელოვნების მიმარულებით შშმ პირების სწავლის სტიმულირება.

პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების მართვა

№	ღონისძიების დასახელება	რისკის აღწერა	რისკის წონა			რისკის დაძლევის ღონისძეები	რისკის წონა		
			მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა		მოხდენის ალბათობა	ზეგავლენა	რისკის ქულა
1.	კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და კულტურის სფეროში თვითრეალიზებისა და თვითგამოხატვის უზრუნველყოფის მიზნით, ღია კონკურსების ორგანიზება	პროექტის ორგანიზების დაბალი ხარისხი	3	4	12	პროექტის განხორცილებაზე მონიტორინგი	2	2	4
2.	ეთნიკურ უმცირესობების ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა და ინტეგრაციის მიზნით, მათი კულტურული ინიციატივების მხარდაჭერა,	წარმოდგენილი პროექტების სიმცირე	3	4	12	მიზნობრივ ჯგუფებთან წინასწარი შეხვედრების ორგანიზება	2	2	4

	ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობა და სხვ.								
3.	შშმ პირთა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა და ინტეგრაციის მიზნით, მათი კულტურული ინიციატივების მხარდაჭერა	წარმოდგენილი პროექტების სიმცირე	3	4	12	მიზნობრივ ჯგუფებთან წინასწარი შეხვედრების ორგანიზება	2	2	4
4.	მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში შშმ პირთა ჩართულობის მხარდაჭერა	შშმ პირთათვის არაადაპტირებული გარემო	5	5	15	ღონისძიების ფორმატის მორგება შშმ პირთა შესაძლებლობებთან			
5.	კულტურის მუნიციპალური დაწესებულებების ტექნიკურ--ტექნოლოგიური ადაპტირება შშმ პირთა საჭიროებებთან	შეზღუდული ფინანსური რესურსები	3	4	12	შესაბამისი ქმედებების განხორციელება ფინანსური რესუსრსების მობილიზების მიზნით	2	3	6
6.	კულტურის მუნიციპალური დაწესებულების პერსონალის გადამზადებას შშმ პირებთან ურთიერთობისათვის საჭირო უნარების გასავითარებლად	კვალიფიციური ტერენერების სიმცირე	4	5	20	კვალიფიციურ ტრენერთა მოწვევის მიზნით სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობა	2	3	6
7.	კულტრურისა და ხელოვნების მიმარულებით შშმ პირების სწავლის სტიმულირება	შშმ პირთათვის არაადაპტირებული გარემო და საგანმანათლებლო რესურსების ნაკლებობა	3	4	12	უმაღლესი სასწავლებლების ხელშეწყობა	2	3	6

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფები

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ეთნიკური უმცირესობები;
- შშმ პირები;

პროგრამაში ჩართული მხარეები

- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- ეთნიკური უმცირესობები;
- შშმ პირები;

- ❖ კულტურის მუნიციპალური დაწესებულებები;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა

- ❖ კულტურის მუნიციპალური დაწესებულებები;
- ❖ რეგიონალური ხელისუფლება;
- ❖ ცენტრალური ხელისუფლება;
- ❖ ქალაქ ბათუმის მოსახლეობა;
- ❖ არასამთავრობო ორგანიზაციები;

პროგრამის სავარაუდო ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

პროექტის განმახორციელებელი ერთეული

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური;
ა(ა)იპ „ბათუმსი კულტურის ცენტრი“.

პროგრამის განხორციელების სამოქმედო გეგმა

წელი	განსახორციელებელი ღონისძიებები	I კვარტ.			II კვარტ.			III კვარტ.			IV კვარტ.		
2019 - 2021	კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და კულტურის სფეროში თვითრეალიზებისა და თვითგამოხატვის უზრუნველყოფის მიზნით, ღია კონკურსების ორგანიზება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019 - 2021	ეთნიკურ უმცირესობების ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა და ინტეგრაციის მიზნით, მათი კულტურული ინიციატივების მხარდაჭერა, ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობა და სხვ.	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019 - 2021	შშმ პირთა ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობისა და ინტეგრაციის მიზნით, მათი კულტურული ინიციატივების მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2019 - 2021	მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში შშმ პირთა ჩართულობის მხარდაჭერა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020 - 2021	კულტურის მუნიციპალური დაწესებულებების ტექნიკურ--ტექნოლოგიური ადაპტირება შშმ პირთა საჭიროებებთან	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x
2020 - 2021	კულტურის მუნიციპალური დაწესებულების პერსონალის	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

	გადამზადებას შშმ პირებთან ურთიერთობისათვის საჭირო უნარების გასავითარებლად												
2019 - 2021	კულტრურისა და ხელოვნების მიმარულებით შშმ პირების სწავლის სტიმულირება	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ❖ ეთნიკურ უმცირესობათა მიერ ინიცირებული პროექტების რაოდენობა;
- ❖ პროექტებში ჩართულ ეთნიკურ უმცირესობათა რაოდენობა;
- ❖ შშმ პირთა მიერ ინიცირებულ და მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებში ჩართულ შშმ პირთა რაოდენობა;
- ❖ შშმ პირთა საჭიროებებთან ადაპტირებული კულტურის მუნიციპალური დაწესებულებები;
- ❖ შშმ პირებთან ურთიერთობისათვის საჭირო უნარების გასავითარებლად კულტურის მუნიციპალური დაწესებულებების გადამზადებულ პერსონალთა რაოდენობა;
- ❖ კულტურისა და ხელოვნების მიმარულებით სტიმულირებულ შშმ პირთა რაოდენობა.